ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Alkhali Taoba

რომან გოცირიძე: „ხელისუფლებას ლარის გაუფასურებაზე სწორი წარმოდგენა არ აქვს“

გვ.6

15 ნოემბრიდან

ჯონ ტენერი

ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

ოთხშაბათი, 16 ნოემბერი, 2016 №272 (7197) ფასი: 50 თეთრი

„ძალოვანი მინისტრებიდან თანამდებობას მხოლოდ იზორია შეინარჩუნებს“

გვ.3

ლადო სადღობელაშვილი: „კალაძემ სუსზე კონტროლი დაკარგა“

„არასაპარლამენტო ოპოზიცია თანამდებობების მოლოდინში გაისუსა“

კახა კუკავა: „სანამ ქვეყანაში ოლიგარქიული რეჟიმი იქნება, ლარი ვერ გამყარდება“

„შეიძლება შემდეგ არჩევნებზე უფრო მეტად დაფიქრდეს ქართველი ხალხი, რას ნიშნავს საპონსტიტუციო უმრავლესობა! იურიდიულად ტერმინი, საპონსტიტუციო უმრავლესობა, ძალიან ბევრ ადამიანს არ ესმის საქართველოში, რას ნიშნავს, მაგრამ, ღარი რომ გახდება 3.0 და 4.0, მერე ბევრი გააცნობიერებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური ეთიკიდღეობა ემყარება პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს აქსიომაა. სადაც არ არის პოლიტიკური სტაბილურობა, იქ ეკონომიკური წარმატება ვერ იქნება“

გვ.4

შალვა შავგულიძე: „საარჩევნო კოდექსი ვერცერთ ხელისუფლებას ვერ ეთმობა“

გვ.2

ნაციონალებმა საპარლამენტო თანამდებობები გადაინაწილეს

გვ.3

ვის უფრო მეტი რეიტინგი აქვს პარტიაში

ვისი იდეაა თურქეთში აფხაზური გაზეთის გამოცემა?

გვ.4

როგორ ეხმაურება სოხუმი თბილისის პროტესტს

ISSN 1987-9385

„წინაპართა გზის“ მიმართვა

გვ.5

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შვილებისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიმართ

შალვა შავგულიძე: „საარჩევნო კოდექსი ვერცერთ ხელისუფლებას ვერ ეთმობა“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი შალვა შავგულიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ პოლიტიკური პარტიები სანამ ოპოზიციაში არიან, სამართლიანობის მძაფრი განცდა აქვთ, მაგრამ, როდესაც ხელისუფლებაში მოდიან, მას ივიწყებენ. შავგულიძე აღნიშნულზე საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებით საუბრობს.

– ბატონო შალვა, არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ იწყებს კონსულტაციებს საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით. ისინი ამბობენ, რომ არსებული სისტემა არასამართლიანია. რამდენად მოსალოდნელია, რომ ხელისუფლებამ არსებული საკანონმდებლო სისტემა შეცვალოს?

– საარჩევნო სისტემის შეცვლა კოალიცია „ქართული ოცნების“ დანაპირები იყო. ეს საკითხი გასული 4 წლის განმავლობაში იდგა დღის წესრიგში, როდესაც „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ეს საარჩევნო კანონი მოირგო, როგორც თავის დროზე ასევე ნაციონალურმა მოძრაობამ მოირგო. მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა არ არის სამართლიანი. არ არის სამართლიანი სწორედ იმიტომ, რომ არ უზრუნველყოფს რეალურად ამომრჩევლის მიერ მიცემულ ხმათა პროპორციულ წარმომადგენლობას პარლამენტში.

ამის ნათელი მაგალითია 8 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები. „ქართულმა ოცნებამ“ დაახლოებით 48% მიიღო, მაგრამ 77%-მდე ეყოლება პარლამენტში წარმომადგენლობა.

– „ქართულმა ოცნებამ“ თავის დროზე თქვა, ახლა ვერ ესწრება, მაგრამ 2020 წლისთვის შევცვლითო. დღეს მაჟორიტარული სისტემის გაუქმებას ბევრი მათგანი მხარს აღარ უჭერს. შეიძლება, კიდევ გადაიდოს ეს საკითხი?

– საარჩევნო კოდექსში ცვლილებების განხილვის დროს „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულ სისტემაზე გადასვლა 2020 წლის არჩევნებისთვის გადადო, მაგრამ დღეს „ქართული ოცნების“ ლიდერებისგან ვისმენთ, რომ საკითხი არ არის გადაწყვეტილი. ეს არის უმნიშვნელოვანესი საკითხი. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილების საჭიროებაზე მიუთითებენ საერთაშორისო ორგანიზაციებიც, საზოგადოებაც, პოლიტიკური სპექტრის სრული შემადგენლობა, გარდა ხელისუფლებისა.

– თქვენი პარტიის პოზიცია დღეს როგორია? მიიღებთ ოპოზიციურ კონსულტაციებში მონაწილეობას?

– ჩვენ იმთავითვე მხარს ვუჭერდით საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმას და ჩვენი პოზიციის ერთგული ვრჩებით.

– რატომ ვერ თმობს ვერცერთი ხელისუფლება მოქმედ სისტემას, მიუხედავად გაცემული დანაპირებისა?

– ყველა პოლიტიკურ ძალას, რომელიც ხელისუფლებაში მოდის, მოქმედი საარჩევნო კანონმდებლობა შესაძლებლობას აძლევს, მიითვისოს ხმები. სწორედ ამიტომაც ვერ ეთმობა ვერცერთ ხელისუფლებას მოქმედი საარჩევნო კოდექსი.

სამწუხაროდ, მმართველი ძალა „ქართული ოცნება“ სხვა ინსტიტუციების მოწყობასთან დაკავშირებითაც იმავე პოზიციას მისდევს.

– რას გულისხმობთ?

– მაგალითად, პროკურატურის მოწყობასთან დაკავშირებით სულ სხვა იყო დანაპირები.

– რა იყო დანაპირები?

– რომ აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლიდან აბსოლუტურად უნდა გამოსულიყო, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს პროკურატურის რეფორმა დაარქვა იმ კანონს, რომლითაც რეალურად მმართველ პოლიტიკურ ძალას დაუქვემდებარა პროკურატურის სისტემა.

ვიდრე ასეთი მიდგომა და პოლიტიკური კულტურა იქნება, როდესაც მხოლოდ ოპოზიციაში ყოფნის დროს უჩნდებათ პოლიტიკურ ძალებს სამართლიანობაზე მოთხოვნა და როგორც კი ხელისუფლებაში მოდიან, შემდეგ საერთოდ ივიწყებენ სამართლიანობის განცდას და ცდილობენ, ვიწროპარტიულ ინტერესებს დაუქვემდებარონ ქვეყნის ინსტიტუციური მოწყობა, მანამდე არაფერი გვეშველება. ეს ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია და ჩვენი პოლიტიკური რეალობიდან უნდა აღმოიფხვრას.

ირმა ინაშვილი: „დავით თარხან-მოურავს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ტრამპის გარემოცვასთან“

– დავით თარხან-მოურავს ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ტრამპის გარემოცვასთან.

ამის შესახებ პატრიოტთა ალიანსის ლიდერმა ირმა ინაშვილმა კურიერის პირდაპირ ეთერში განაცხადა, თუმცა თავისი პარტიის აშშ-ის მომავალი ხელისუფლების ადმინისტრაციასთან არსებულ კავშირებზე უფრო მეტი კონკრეტიკისგან თავი შეიკავა.

ირმა ინაშვილმა პარტიის საპარლამენტო გეგმებზეც ისაუბრა და თქვა, რომ პირველი ბრძოლა, რასაც მისი გუნდი გეგმავს, „საარჩევნო კოდექსის“ ცვლილება იქნება, რადგან, ინაშვილის მტკიცებით, ეს არ იყო თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები.

პარლამენტამდე პატრიოტთა ალიანსი საკონსტიტუციო სასამართლოში ჩივის და 4 დეპუტატის კვოტას ითხოვს.

– პატრიოტთა ალიანსი იქნება ქართველი ხალხის ხმა საქართველოს პარლამენტში. ჩვენი პარტიის 4 დეპუტატი რეალურად არის დეპუტატი, მაგრამ ვერ შედის მახინჯი საარჩევნო კოდექსის გამო. ეს დღევანდელი ვითარება ხელისუფლებას ძალიან დაარტყამს. ეს დისკრიმინაციაა, ეს ჩვენი უფლების შეზღუდვაა და გავასაჩივრებთ სტრასბურშიც, – განაცხადა ირმა ინაშვილმა და „კურიერის“ პირდაპირ ეთერში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს სამართლიანობის დაცვისკენ მოუწოდა.

შეძლებული ოჯახებიდან მოსწავლეები უფასო სახელმძღვანელოებსა და კომპიუტერებს კვლავ მიიღებენ

როგორც ცნობილია, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას ჰქონდა ინიციატივა, რომ მომავალ წლებში სასკოლო სახელმძღვანელოებითა და პირველკლასელების კომპიუტერებით შეძლებულ ოჯახებს აღარ დახმარებოდნენ, თუმცა, როგორც მინისტრმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მისი მოსაზრება არავის მოეწონა და ინიციატივა არ განხორციელდება.

– როგორც ჩანს, არავის მოეწონა ჩემი ეს მოსაზრება და ამიტომ ეს არ მოხდება, თანაც, ძალიან ცოტაა ასეთი ოჯახი. ეკონომიას ვერაფერს მივიღებთ და ტყუილად შევაწუხებთ ხალხს, – განმარტა ალექსანდრე ჯეჯელავამ.

მისივე ინფორმაციით, მომავალ წელს მოსწავლეები უფასო სახელმძღვანელოებს მიიღებენ და შესაბამისი თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია.

ალექსანდრე ჯეჯელავამ აგვისტოში საზოგადოებისადმი გავრცელებულ ვიდეომიმართვაში თავისი ინიციატივის შესახებ ისაუბრა.

– მე გამოვთქვი ინიციატივა, რომ მომავალ წლებში სასკოლო სახელმძღვანელოებითა და პირველკლასელების კომპიუტერებით შესაძლოა აღარ დავეხმაროთ შეძლებულ ოჯახებს, რომლებსაც შედარებით მაღალი შემოსავალი აქვთ, 40.000 ლარი ვთქვით ქონების დეკლარაციაზე დაყრდნობით.

მე მომხრე ვარ, რომ ჩემს შვილებს საჩუქრად წიგნები არ უნდა ეკუთვნოდეთ და საშუალება გვაქვს ჩემი, ჩემი ოჯახის სამსახურიდან გამომდინარე, ეს სახელმძღვანელოები შევიძინოთ. ამ მიმართულებით მუშაობას ვაპირებ. ეს წესი წელს არ ამოქმედდება, მაგრამ, იმედი მაქვს, მომავალი წლიდან ასეთი საშუალება გვექნება, – აცხადებდა ალექსანდრე ჯეჯელავა.

ინტერპრესნიუსი

ფედერიკა მოგერინი: „ევროპული არმიის შექმნა არ იგეგმება“

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესახებ შესასრულებელი გეგმა წარადგინა, რაც ევროკავშირის გლობალურ სტრატეგიას აამოქმედებს, – იუწყება ევროკავშირის დიპლომატიური სამსახურის ოფიციალური საიტი EEAS.

ამასთან, უმაღლესმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საუბარი არ არის ევროპული არმიის შექმნაზე.

– ნება მომეცით გითხრათ, თუ რას არ ეხება ეს გეგმა. ეს გეგმა არ ეხება ევროპული ჯარის შექმნას. ხშირად ვამბობ, რომ ნატო-საც კი არ გააჩნია თავისი საკუთარი ჯარი, – განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ.

გეგმა ორიენტირებულია სამ ძირითად პრიორიტეტზე, კერძოდ იმაზე, რომ ევროკავშირმა შეძლოს უფრო ყოვლისმომცველად, სწრაფად და გაბედულად მოახდინოს რეაგირება კრიზისულ სიტუაციებზე; ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის პარტნიორების უსაფრთხოებისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ევროკავშირის შესაძლებლობების გაძლიერებას, რათა დაიცვას ევროპელი მოქალაქეები.

ინტერპრესნიუსი

ბიძინა ივანიშვილმა ბაობაბის ჯიშის ასწლოვანი ხე 45 ათას დოლარად შეიძინა

ქვეყნის ექსპრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი მშენებარე პარკისთვის ბაობაბის ჯიშის ასწლოვანი ხე 45 ათას დოლარად შეიძინა.

ამის შესახებ ინფორმაცია „გურიის მოამბეს“ ოზურგეთის რაიონის სოფელ მერიიდან მიაწოდეს.

სწორედ ამ სოფელში, გობრონიძეების ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთში მდებარეობს ბაობაბის ხე, რომლის ასაკიც, ადგილობრივთა გადმოცემით, მინიმუმ 100 წელია.

თავად ოჯახი, რომელსაც ხე ეკუთვნის, ამ თემაზე ჟურნალისტებთან არ საუბრობს, თუმცა მეზობლებმა გვიამბეს, რომ ამ ხის სანახავად თავდაპირველად სოფელს ექსპრემიერის ძმა ადიკო ივანიშვილი ეწვია, ამ დღეებში კი ხე თავად ექსპრემიერმაც ინახულა.

– მოვიდნენ, დაათვალიერეს ფესვები, გაზომეს, გადაუღეს სურათები, თქვეს, რომ გადატანა მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, როცა ხეს ფოთლები გასცვივა, – ამბობს ერთ-ერთი მეზობელი.

გავრცელებული ინფორმაციით, ივანიშვილები ხეში 45 ათას აშშ დოლარს იხდიან.

ბაობაბის ხე ერთ-ერთია იმ 70 ხიდან, რომლებითაც ექსპრემიერი ივანიშვილი საკუთარ, შეკვეთილის რეზიდენციასთან მშენებარე პარკის შევსებას გეგმავს. დანარჩენი მრავალწლოვანი და იშვიათი ნარგავები პარკში მიმდებარე სოფლებიდან, ნატანებიდან და წვერმაღალადან, ასევე აჭარისა და სამეგრელოს რეგიონებიდან მოხდება.

დენდროლოგიური პარკის მშენებლობის დასრულება მომავალი წლის დასაწყისში იგეგმება.

გურიის მოამბე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ძალოვანი მინისტრებიდან თანამდებობას მხოლოდ იზორია შეინარჩუნებს“

„არასაპარლამენტო ოპოზიცია თანამდებობების მოლოდინში გაისუსა“

შორენა მარსაგიშვილი

ჩატომ ჩაკვდა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესები, ჩატომ დემს არასაპარლამენტო ოპოზიცია, ჩას ემსახურება სუსში განხორციელებული ცვლილება, ჩოდის შეცვლიან ძალოვან მინისტრებს, ჩა შეცდომას უშვებს ხელისუფლება ამერიკასთან დაკავშირებით? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის წევრი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი: „კალაძემ სუსზე კონტროლი დაკარგა“

ლადო სადღობელაშვილი:

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოში პოლიტიკა მოკვდა. ყველაფერი გაიყინა, ერთადერთი, რაც მოძრაობს, ლარის კურსია. ისიც დაბლა მიდის. ქვეყანა თავზე გვენგრევა, ეროვნული ვალუტის კურსი კატასტროფულად ეცემა და ხმას არავინ იღებს. ყველა 19 ნოემბრის მოლოდინშია გასუსული.

– 19 ნოემბერს რას ელოდებიან?

– ახლადარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა გაიმართება. ამის მერე ახალი პარლამენტი დაამტკიცებს განახლებულ მთავრობას. ოპოზიციის დიდი ნაწილი ვაზელინწასმული ელოდება, იქნებ რაიმე თანამდებობები გადმოუგდოს მათ ხელისუფლებამ. ამიტომ არ იმჩნევენ არაფერს.

– რა თანამდებობებზე საუბრობთ?

– რა ვიცი, ზოგი მინისტრის მოადგილის პოსტს ელოდება, ზოგს დეპარტამენტის თავმჯდომარეობა სურს. იმდენად უნდათ ეს თანამდებობები, რომ არაფერზე ხმას არ იღებენ.

– ვინმე დაჰპირდა მათ ამ თანამდებობებს?

– შესაძლოა, დაჰპირდნენ, შესაძლოა, ჭორი გაიგეს, შესაძლოა, თავიანთი დუმილით უნდათ თანამდებობების ყიდვა. მე, პირადად, სხვანაირად ვერაფრით ვხსნი იმ დუმილს, რომელიც ქართულ პოლიტიკაშია. ყველაფერი კარგად რომ იყოს, კიდევ მესმის, მაგრამ დაგვექცა ეს ქვეყანა თავზე და ხმის ამომღები არავინაა.

იმ დღეს სპეციალურად ვუყურე საინფორმაციო გამოშვებებს სხვადასხვა არხზე. წარმოგიდგენიათ, ნიუსი არ იყო, მხოლოდ ლარის გაუფასურებასა და ქალების წინადაცვეთაზე საუბრობდნენ. მაინტერესებს, ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს.

– ზემოთ თქვით, 19 ნოემბერს ელოდებიანო და ამის შემდეგ გააქტიურდება ოპოზიცია?

– არა მგონია, ასე მალე დაიწყონ აქტიურობა. დაელოდებიან, როდის განიხილავს ახალი პარლამენტი მომდევნო წლის ბიუჯეტს. მერე წინასაახალწლო პერიოდი დადგება. ამ დროს თანამდებობების დარიგებისთვის აღარავის ეცლება. ესენი კი იდგებიან ვაზელინწასმულები და დუმილით შეეცდებიან თანამდებობის მოპოვებას. როცა მიხვდებიან, რომ „გადააგდეს“, ატეხენ ყვირილს, მაგრამ ძალიან გვიან იქნება. ლარი, შესაძლოა, ისე გაიქცეს, კუპონს გაასწროს და ვეღარავინ დაიჭიროს.

– ამათი განცხადებები უშველიდა რამეს ეროვნულ ვალუტას?

– ოპოზიციას თავიდანვე რომ ეაქტიურა, ხელისუფლება ამდენს ვერ გაბედავდა. მათმა ვაზელინობამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ფინანსთა მინისტრი ლარზე კომენტარის გაკეთებასაც კი არ კადრულობს. სამაგიეროდ, გამოდის ახლადგადეპუტატებული მუსიკოსი ზაზა ხუციშვილი და ამბობს, დოლარის კურსის გამყარება კარგია, ადამიანებს გაცილებით მეტი რაოდენობით ექნებათ ლარიო. ასეთი განცხადებებით თუ აპირებენ ქვეყნის მართვას, ისედაც დავარდნილი რეიტინგი ლარის კურსივით დაუვარდებათ.

ამერიკაში არჩევნების ჩატარებიდან რაღაც დროის განმავლობაში დოლარის კურსი დაბლა იწევს. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ყველგან დაიწია დოლარმა, გამონაკლისი ჩვენ ვართ მხოლოდ, რაც ჩვენთან ჩატარებულ არჩევნებთან არის პირდაპირ კავშირში. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, არჩევნების წინ „ქართულმა ოცნებამ“ 50 მილიონი ლარი დახარჯა. არჩევნების წინ ბაზარზე დიდი რაოდენობით გამოყრილმა დოლარმა მისი ოდნავი გაუფასურება გამოიწვია. არჩევნების შემდეგ „ოცნებამ“ ამ ფულის ამოღება გადაწყვიტა და ამიტომაც გაუფასურდა ლარი.

ერთადერთი სიკეთე, რომელიც ამ პოლიტიკურ გამყინვარებაში მოხდა, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში განხორციელებული ცვლილებაა. იმასაც გეტყვით, რომ შემთხვევით არ გადაუყვანიათ ალეკო ტაბატაძე სუსის უფროსის მოადგილედ. ცოტა ხანში ხელისუფლებაში ძალიან საინტერესო პროცესები დაიწყება.

– რა პროცესები დაიწყება, რომელიც, თქვენივე თქმით, სუსში საკადრო ცვლილებებით იქნება განპირობებული?

– ეს მხოლოდ ამ საკადრო გადაადგილებით არ იქნება გამოწვეული, მაგრამ სუსში ტაბატაძის გადმოსვლა ძალიან სერიოზული ამბავია. ეს ადამიანი პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის კადრად ითვლება. აქამდე სუსი ბიძინა ივანიშვილისა და კახა კალაძის კადრებით იყო დაკომპლექტებული.

როდესაც სოსო გოგაშვილი სუსის უფროსის მოადგილედ დაინიშნა, მაშინვე ვთქვი, რომ ის იყო კალაძის კადრი. ეს პიროვნება „მილანის“ ყოფილი მოთამაშის ცოლისძმის გარემოცვას წარმოადგენს. მათ ერთად აქვთ სამშენებლო ბიზნესი. არჩევნების ჩატარება თავის თავზე აიღო კალაძემ და ამაში მას ძალიან დაეხმარა გოგაშვილი, რომელიც არასდროს გამოირჩეოდა პროფესიონალიზმით. არადა, ის რეალურად მთელ უსაფრთხოების სამსახურს აკონტროლებდა.

– თუ იმდენი შეძლო, რომ მთელი სუსი გააკონტროლა, გამოდის, პროფესიონალი ყოფილა.

– არანაირი პროფესიონალი არ ყოფილა, უბრალოდ, განუსაზღვრელი ძალაუფლება მისცეს. მან ამით ისარგებლა და ბერკეტები მოიპოვა. სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ტაბატაძე იუსტიციის სამინისტროდან სუსში გადაიყვანეს. რადგან პრემიერი ქვეყნის პირველი პირია, უსაფრთხოების სამსახურში მისი ხალხი უნდა იყოს, წესით. დარწმუნებული ვარ, ტაბატაძე ახალ სამსახურს თავს წარმატებით გაართმევს. ეს პიროვნება, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, სულ ძალოვან სტრუქტურებში მუშაობს.

რამდენიმე თვეში კვირიკაშვილი თავის ხალხს სხვა საკვანძო თანამდებობებზეც დანიშავს. ამ ეტაპზე ის ძალოვნებს არ შეეხება და მხოლოდ ეკონომიკურ გუნდს შეცვლის. ეს ეკონომიკური გუნდი კი არ უნდა შეცვალო, სულ კინწისკვრით უნდა გაყარო.

– ძალოვნებს როდისთვის შეცვლის?

– ძალოვანი მინისტრების შეცვლას მომავალი წლის თებერვლისთვის ველოდები. კვირიკაშვილი შეეცდება, ეს პროცესი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადააგოროს.

– რომელი ძალოვანი მინისტრის შეცვლას ელოდებით?

– აუცილებლად შეიცვლება შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელსაც პიროვნულად დიდ პატივს ვცემ. მგონია, რომ ამ ბლოკის მინისტრებიდან თანამდებობაზე ყველაზე მეტ დროს ლევან იზორია გაატარებს. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს იმისთვის, რომ მინისტრის პოსტზე იყოს. არც ისაა გამორიცხული, ის სხვა უწყების ხელმძღვანელის რანგში ვიხილოთ. სუსში რაც მოხდა და რაც იქნება, უკვე გითხარით. მინდა, ყველამ იცოდეს, რომ კალაძე სუსს ვეღარ გააკონტროლებს.

ქვეყანაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მას მეტ გასაქანს აღარ მისცემენ. მართალია, საპარლამენტო კვოტები მიიღო, მაგრამ ბევრს ველარ გაქაჩავს. მას ის ძალაუფლება აღარასდროს ექნება, რაც 2016 წლამდე ჰქონდა.

– მთავრობიდანაც ხომ არ გაუშვებენ?

– მთავრობაშიც დატოვებენ და წოდებასაც მისცემენ, უბრალოდ, ამ წოდებას ველარაფერში გამოიყენებს. მთავრობაზე კონტროლს მთლიანად პრემიერი დაამყარებს, რომელიც, სავარაუდოდ, არ შეცვლის საგარეო საქმეთა მინისტრს. ყველამ კარგად ვიცით, რომ მიხეილ ჯანელიძე პრემიერის კადრია. გარდა ამისა, ამ ადამიანმა საკმაოდ კარგად მოირგო ეს თანამდებობა. საგარეო საქმეთა მინისტრის მუშაობის მიმართ პრეტენზიები თითქმის არავის აქვს.

საგარეო საქმეთა მინისტრის მიმართ, მართალია, პრეტენზიები არ არის, მაგრამ საგარეო კურსი მისახედია. განსაკუთრებული ყურადღება ამერიკის მიმართულებით არის გასამახვილებელი.

– რატომ უნდა გაამახვილონ ამ მიმართულებით ყურადღება? მთავრობა ამბობს, რომ ამერიკა ჩვენ მიმართ დამოკიდებულებას არ შეცვლის.

– მთელი მთავრობა ამას გაიძახის და სწორედ ეგ მთავრობა შეაცვლევინებს ამერიკას ჩვენ მიმართ დამოკიდებულებას. არ დაგვავიწყდეს, რომ ტრამპი დასანახად ვერ იტანს სოროსს. მთელი ჩვენი აღმასრულებელი ხელისუფლება სოროსისტებით არის სავსე. ახლა საპარლამენტო თანამდებობებსაც ეგენი დაიკავებენ. თავის დროზე სოროსის მიმართ დიდი სიმპათიით იყო განმსჭვალული ბიძინა ივანიშვილიც.

ჩვენი სოროსისტები დღე და ღამე ეკლესიას ლანძღავენ, ტრამპი კი ეკლესიის მიმართ დიდ პატივისცემას იჩენს. მისთვის მიუღებელია ჰომოსექსუალიზმი, აქ კი მხოლოდ მათ უფლებებს იცავენ.

ნაციონალებმა საპარლამენტო თანამდებობები გადაინაწილეს

შორენა მარსაგიშვილი

ვის უფრო მეტი რეიტინგი აქვს პარტიაში

ნაციონალეს მოძრაობაში დაპირისპირება გრძელდება. საპარლამენტო თანამდებობების გადანაწილების პარალელურად, იმის გარკვევასაც ცდობენ, თუ ვინ არის მათ შორის პირველი. გავრცელებული ინფორმაციით, პარტიის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის არჩევა თითქმის უკვე გადაწყვეტილია. საგანგებოდ გავრცელებულ განცხადებაში პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სერგი კაპანაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავით ბაქრაძეს მიხეილ სააკაშვილზე მაღალი რეიტინგი აქვს.

ამ მოსაზრებას პარტიის ნაწილი არ იზიარებს. მათი აზრით, ნაცმოძრაობის სათავეში ისევ სააკაშვილი უნდა იყოს. იმის გარკვევამდე, თუ ვის უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ნაციონალებმა გადაწყვიტეს, საპარლამენტო თანამდებობები გადაენაწილებინათ.

პარტიიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი კვლავ დავით ბაქრაძე იქნება. ვიცესპიკერის თანამდებობაზე ოპოზიციის კვოტით პარტია სერგი კაპანაძეს, ხოლო ფრაქციის ლიდერად ნიკა მელიას წარადგენს.

ამასთან, ნაცმოძრაობაში გრძელდება მსჯელობა ფრაქციების რაოდენობასთან დაკავშირებით. არსებულ ვითარებაში მათ სამი ფრაქციის შექმნის საშუალება აქვთ, თუმცა გადაწყვეტილება, თუ რამდენი ფრაქცია ეყოლებათ, ამ ეტაპზე მიღებული არ არის.

ამის გარდა, არც ის არის გადაწყვეტილი, ნაციონალები რომელ კომიტეტებში გადანაწილდებიან.

ვიცესპიკერობისთვის განწირული სერგი კაპანაძე პარტიის მხარდამჭერებს ლანძღვა-გინებისგან თავის შეკავებისკენ მოუწოდებს, ამავე დროს, თავად აკეთებს პარტიის წევრების წყობილებიდან გამომყვან განცხადებებს. სააკაშვილის ფანებისთვის ძალიან ძნელი გადასატანია იმის მოსმენა, რომ ბაქრაძეს უფრო მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ნაპრეზიდენტალს.

სოციალური ქსელით გავრცელებულ განცხადებაში კაპანაძე არარეალურად მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ 500.000 ამომრჩეველმა №5 სააკაშვილის ხათრით შემოხაზა მხოლოდ.

– ენმ-ის 500.000 მხარდამჭერი მხოლოდ მიშას მხარდამჭერია. „მიშას გარეშე ნულები ხართ“. ისევ სისულელე. ყველა კვლევით ენმ-ის მინიმუმ ერთი ლიდერი მაინც – დათო ბაქრაძე უფრო მეტი მხარდაჭერითა და მოწონებით სარგებლობს, ვიდრე ექსპრეზიდენტი.

ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ბაქრაძის ან მხოლოდ მიშას გამო დაუჭირა ხალხმა მხარი ენმ-ს. ენმ-ს მხარი დაუჭირა ამომრჩეველმა ბევრი ფაქტორის გამო. წინა არჩევნებზე ენმ-ს მხარი დაუჭირა 310.000 ამომრჩეველმა, ახლა – თითქმის 500.000-მა. მე მგონია, რომ ზრდა სწორედ იმის გამო იყო, რაც შეიცვალა პარტიაში – განახლება, ახალი

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

კახა კუკავა: „სანამ ქვეყანაში ოლიგარქიული რეჟიმი იქნება, ლარი ვერ გამყარდება“

ნონა ცაბაძე

ოპოზიციურ პარტიებს შორის კონსულტაციები დაიწყო. არასაპარლამენტო პარტიები საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას ითხოვენ და ხელისუფლებას გაზაფხულიდან მრავალათასიანი აქციებით ემუქრებიან. „ახალი თაობის“ კითხვებს „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, რა მოთხოვნები აქვთ ოპოზიციურ პარტიებს, რისთვის შეიკრიბეთ?

– პარტიებს შორის კონსულტაციები მიმდინარეობს. ჩვენ ვაპირებთ ჩატარებული არჩევნების შეფასებას, ასევე მზადებას 2017 წლის არჩევნებისთვის. დაიწყება საარჩევნო რეფორმის სერიოზული განხილვა.

– ითქვა, რომ აპირებთ, არჩევნების შედეგებს ბოიკოტი გამოუცხადოთ, ასეა?

– არა, ეს საკითხი ამ შეხვედრაზე არ განხილულა.

– რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება თქვენ რეკომენდაციებს?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი კამპანია დაიგეგმება. ჩვენ ჯერჯერობით კონსულტაციების რეჟიმში ვართ. „თავისუფალი საქართველო“ და კიდევ რამდენიმე ჩვენი პარტნიორი მივიჩნევთ, რომ ამ ინიციატივების პარალელურად, უნდა იყოს მასშტაბური საჯარო პროტესტი. გაზაფხულზე რუსთაველზე გამოვა რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი.

– ანუ აპირებთ, რომ აქციებით და ღია პროტესტით გამოხატოთ თქვენი პოზიცია?

– სხვა გზა არ არის. არც ერთ რეჟიმს საქართველოში თავისუფალი არჩევნები არ ჩაუტარებია.

– ეკონომიკური თვალსაზრისით ქვეყანაში ურთულესი სიტუაციაა, ხელისუფლება აცხადებს, რომ პრობლემას სასესხო პორტფელის გადაჭარბებული დოლარიზაცია ქმნის. როგორია თქვენი შეფასებები?

– ლარის დაცემა და დოლარის გამყარება გაგრძელდება და გაგრძელდება დრამატულად. ეს არის შედეგი იმ ეკონომიკური კურსის, რომელსაც ატარებს ჩვენი მთავრობა. ქართველმა ხალხმაც უნდა გააცნობიეროს, რომ ზოგი ჭირი მარგებელია.

– რა კუთხით არის მარგებელი?

– შეიძლება შემდეგ არჩევნებზე უფრო მეტად დაფიქრდეს ქართველი ხალხი, რას ნიშნავს საკონსტიტუციო უმრავლესობა! იურიდიულად ტერმინი საკონსტიტუციო უმრავლესობა, ძალიან ბევრ ადამიანს არ ესმის საქართველოში, რას ნიშნავს, მაგრამ ლარი რომ გახდება 3.0 და 4.0, მერე ბევრი გააცნობიერებს იმას, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა ემყარება პოლიტიკურ სტაბილურობას. ეს აქსიომაა, სადაც არ არის პოლიტიკური სტაბილურობა, იქ ეკონომიკური წარმატება ვერ იქნება. სანამ ქვეყანაში იქნება ოლიგარქიული, კორუმპირებული, მაფიოზური რეჟიმი, ეროვნული ვალუტა მყარი ვერ იქნება.

– ინვესტიციებმა სერიოზულად იკლო, რატომ აღარ შემოდიან ინვესტორები?

– იმიტომ აღარ შემოდიან, რომ როდესაც შემოდის ინვესტორი და საზღვარზე ხვდება ჯანყარაშვილი და მამაცაშვილი და ეუბნება: „პიისიატ ნა პიისიატ“, როგორც ჯაბა იოსელიანის დროინდელ მხედრიონში იყო, რა თქმა უნდა, ინვესტორი აღარ შემოვა საქართველოში და წავა ესტონეთში, სადაც ჯანყარაშვილი კი არ ხვდება საზღვარზე, არამედ ხვდება ესტონეთის მთავრობის ინსპექტორი, რომელიც ეუბნება, რით დაგეხმაროთ და რა შეღავათი გაგიკეთოთ.

ამ რეკეტიორი მთავრობის პირობებში საქართველოში არანაირი ინვესტიცია არ შემოვა! რაც არის ინვესტიციები, ესეც წინა მთავრობის დროს არის დაწყებული. არც ერთი მსხვილი ინვესტიცია ივანიშვილის რეჟიმის პირობებში, საქართველოში არ შემოსულა და არც შემოვა, რადგან აქ ქვეყნის ეკონომიკას განაგებს რეკეტიორთა ჯგუფი ივანიშვილი-მამაცაშვილი-ჯანყარაშვილის ხელმძღვანელობით.

– სულ საუბარია, რომ თავისუფალი და ჯანსაღი გარემო აქვთ ბიზნესმენებს. ანუ ეს სიმართლეს არ შეეფერება?

– რთული არ არის ამის დადგენა, შედით საქართველოს მთავრობის ოფიციალურ გვერდზე და იქ წლების მიხედვით არის ჩამოწერილი, როდის რა ინვესტიცია განხორციელდა. იქ კი წერია, საქართველოში, ახალი მთავრობის პირობებში, ინვესტიციების მაქსიმალური რაოდენობა წლიურად არის მილიარდ 300 მილიონ 400 ათასი. ეს არის ბევრად ნაკლები, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს.

– საკაშვილის დროს მეტი ინვესტიცია შემოდიოდა ქვეყანაში?

– მე ვფიქრობ, რომ წინა ხელისუფლების დროსაც კი ინვესტიციების მოსაზიდად საკმარისი არ კეთდებოდა, მაგრამ 2007 წელს ინვესტიციებმა შეადგინა 2 მილიარდი. ახალი მთავრობის პირობებში კი ეს ციფრი არის განახევრებული.

– როგორი ზამთარი ელის ჩვენს მოსახლეობას? შესაძლოა, ტარიფებმა მოიმატოს?

– სადღაც დეკემბერ-იანვარში, როცა ტარიფები გაიზრდება, კალაძე გამოვა და იტყვის, რომ ტარიფი იზრდება ძალიან მცირედით, სხვაგან გაცილებით მაღალია ტარიფი, ჩვენ კი ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ფასების ზრდა ჩვენს მოსახლეობას ნაკლებ ტვირთად დააწვეს.

– ანუ რთული პერიოდი გველოდება?

– ძალიან რთული.

ვისი იდეაა თურქეთში აფხაზური გაზეთის გამოცემა?

როგორ ეხმაურება სოხუმი თბილისის პროტესტს

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე დღეა, რაც თბილისში დიდი ვნებათაღელვაა იმის გამო, რომ თურქეთში გამოვიდა გაზეთი აფხაზეთის შესახებ. ახალი გაზეთი თურქულმა გამომცემლობა საბაჰმა გამოსცა. მასში აფხაზეთი წარმოჩენილია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ.

გაზეთის გამოცემის დეტალებზე საუბრობს თურქეთში აფხაზეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინარა გიცბა.

ინარა გიცბა:

– ასეთი გაზეთის დაარსების იდეა გაუჩნდა საგამომცემლო სახლ საბაჰის მთავარ რედაქტორს, როცა თურქეთის ჟურნალისტთა ფედერაციის დელეგაცია ჩვენი მოწვევით იმყოფებოდა აფხაზეთში მიმდინარე წლის სექტემბერში.

მისი ინფორმაციით, აფხაზეთში ვიზიტის შემდეგ თურქი ჟურნალისტები და გამომცემლები აფხაზურ მხარესთან ერთად შეუდგნენ ამ იდეის განხორციელებას:

– თურქეთში დაბრუნების შემდეგ ჩვენი წარმომადგენლობა აქტიურად ჩაერთო ამ პროექტის რეალიზაციაში. აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის ფინანსური მხარდაჭერით გამომცემლობა საბაჰთან გაფორმდა კონტრაქტი. ჩამოვაყალიბეთ სარედაქციო კოლექტივი, რომელიც ამზადებდა მასალებსა და პუბლიკაციებს. ასე შეიქმნა გაზეთის პირველი ნომერი.

გაზეთის ტირაჟმა 36 ათასს მიაღწია. გიცბა ირწმუნება, რომ ყველა ეგზემპლარი რამდენიმე საათში გაიყიდა. დიდი ინტერესის გათვალისწინებით, დამატებით დაიბეჭდა 5 ათასი ეგზემპლარი.

აფხაზეთისადმი მიძღვნილი გაზეთის პირველი ნომერი თურქეთის დასავლეთში, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე გავრცელდა.

– ეს ის რეგიონია, სადაც კომპაქტურად ცხოვრობს აფხაზურ-ადიღეური დიასპორა. ახალ გეოგრაფიულ რეგიონებზე გასვლა დამატებით დაფინანსებაზეა დამოკიდებული, – განმარტავს აფხაზეთის წარმომადგენელი თურქეთში.

მისი თქმით, გაზეთმა ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია და უკვე პოპულარული გახდა.

– შემდეგი ტირაჟი, ყველაფრიდან გამომდინარე, გაიზრდება, – დარწმუნებულია ინარა გიცბა.

იგი საუბრობს პროექტის მთავარ მიზანზე:

– ამ გამოცემის აზრია, მოვყვეთ და ვაჩვენოთ, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი, სუვერენული და დინამიკურად განვითარებადი სახელმწიფოა.

მისივე თქმით, მოსალოდნელი იყო მძაფრი რეაქცია საქართველოს ლობისაგან. გამომცემლობის ხელმძღვანელობამ გააცნობიერა სრული პასუხისმგებლობა ამგვარი ფაქტობრივი მასალის პუბლიკაციაზე და გარკვეულ რისკზე წავიდა.

– გამომცემლობის ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ ქართული პროპაგანდისტული მანქანიდან იქნებოდა ზეწოლა. ამიტომ პროექტი ბოლო მომენტამდე გასაიდუმლოებული იყო. ანონსირება ერთი დღით ადრე მოვახდინეთ. ქართული ლობი ამას შეეწინააღმდეგა, მაგრამ გვიანი იყო, – აცხადებს ინარა გიცბა.

ახალი გაზეთის ამოცანები ემთხვევა სოხუმის საოკუპაციო რეჟიმის ახალი საგარეო მინისტრის დაურ კოვეს მიერ დასახულ მიზნებს.

– ჩვენი პრიორიტეტული მიმართულებებია აფხაზეთის საერთაშორისო აღიარება, საერთაშორისო კონტაქტების გაფართოება, ურთიერთობების გამყარება აფხაზურ დიასპორასთან უცხოეთში, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების უფლებების დაცვა, აფხაზეთის სახელმწიფოს პოზიტიური იმიჯის ფორმირება, – აღნიშნავს დაურ კოვე.

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

ნაციონალებმა საპარლამენტო თანამდებობები გადაინაწილეს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იდეები, სწორი საარჩევნო კამპანია. ბევრი სხვა ფაქტორიც იყო, მათ შორის, რა თქმა უნდა, მიშას როლიც. ბევრმა ამის გამოც მისცა ხმა, მაგრამ, ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მიშას დაბრუნება და აქ რევოლუციური განწყობის შემოტანა (სრულიად უსაფუძვლო იყო, როგორც ერთი, ისე მეორე, რაც კარგად გამოჩნდა) კარგად გამოიყენა ჩვენ წინააღმდეგვე „ქართულმა ოცნებამ“, ამიტომ, ეს არის ჩვეულებრივი მითი, – აღნიშნავს კაპანაძე.

ის სისულელედ მიიჩნევს იმ მოსაზრებას, რომ ნაციონალური მოძრაობა თავის მხარდამჭერებს გაემიჯნა, იქვე აღიარებს, რომ რაღაც დოზით გამიჯვნა მაინც მოხდა.

– ნაცმოძრაობა გაემიჯნა იმ ჯგუფებს, რომლებმაც ასევე გარედან ინტერვენციითა და ორგანიზებით პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება, რომ აერჩიათ ოპონირების ცივილიზებული და დღეს რეალურად ერთადერთი სწორი ფორმა, შერაცხეს ღალატად და დაიწყეს ბინძური კამპანია, – აღნიშნავს სავიცეს-პიკერო ნაციონალი.

კაპანაძე სიბინძურეების გამავრცელებლებს ურჩევს, არ გაიკვირვონ, თუ მომავალში მათ ფეისბუქზე პარტიის რომელიმე ლიდერი დაბლოკავს.

ის ასევე უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ პარტია მიხეილ სააკაშვილს გაემიჯნა.

– ენმ მიშასა და მის როლს კი არ ემიჯნება, ფიქრობს იმაზე, როგორ წავიდეს წინ ახალ რეალობაში, რომელიც მივიღეთ არჩევნების შემდეგ. პარტიას სჭირდება ახალი თავმჯდომარე და პოლიტსაბჭო, ახალი სტრატეგია და ახალი იდეები. მიშას როლს ამ პარტიის შექმნაში, საქართველოს უახლეს ისტორიაში არავინ უარყოფს, მაგრამ პარტია არ უნდა იყოს ერთი ადამიანი. ვისაც ჰგონია, რომ პარტია მხოლოდ ერთი ადამიანია და ის ერთი ადამიანი უნდა იყოს მუდამ ხელმძღვანელი, დე ფაქტოც და დე იურეც, მწარედ ცდება, – აღნიშნავს კაპანაძე.

მისი თქმით, სააკაშვილი ახლა უკრაინაზეა გადართული და პარტიისთვის აღარ სცალია.

– ამიტომ ენმ-ში ადგილობრივი მართვის გაძლიერება და ახალი ხელმძღვანელობა მხოლოდ პოზიტივის მომტანი იქნება, – ამბობს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ის უარყოფს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ნაცმოძრაობა იშლება და პარტიაში არსებულ უთანხმოებას ჯანსაღ მოვლენად მიიჩნევს.

– ენმ-ის დაშლა და დანაწევრება არის ქოცების ოცნება. რეალურად, რაც ენმ-ში ხდება, არის ჯანსაღი ოპონირება ორ ან მეტ გუნდს შორის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს პარტიის მომავალი. ამ დაპირისპირებაში წარმოიშობა გადაწყვეტილება, რომელიც ყრილობის მიერ იქნება მიღებული. ამ გადაწყვეტილებას, ყველამ კეთილი ინებოს და პატივი სცეს. ამიტომ, სანამ ეს მოხდება, ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ადანაშაულებენ საჯაროდ, ბრალს სდებენ ღალატში და ესვრიან ტალახს, რეალურად აკეთებენ ჩვენი საერთო მოწინააღმდეგის საქმეს. ამ კონკურენციიდან და დებატიდან ჩვენ უნდა გამოვიდეთ უფრო ძლიერი და არა უფრო სუსტი, – აღნიშნავს სერგი კაპანაძე.

სერგი კაპანაძის მოსაზრებას პარტიაში ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ მოწინააღმდეგეები უფრო მრავლად არიან. ისინი პარტიის ყრილობის ჩატარებას გაფართოებულ ფორმატში ითხოვენ და მიაჩნიათ, რომ სწორედ იქ უნდა მოხდეს პარტიის ახალი თავკაცის არჩევა.

ამ მოსაზრებას პარტიის ლიდერების ნაწილიც უჭერს მხარს. ეს ის ხალხია, რომლებიც პარლამენტს მიღმა დარჩნენ. თუ პროცესები პარტიაში არ დალაგდა, არ არის გამორიცხული, სააკაშვილმა მათ ბაზაზე ახალი ნაცმოძრაობა შექმნას.

„წინაპართა გზის“ მიმართვა

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შვილებისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიმართ

ქრისტესმიერ საყვარელნო დანო და ძმანო

ჩვენ, ივერიის სამოციქულო ეკლესიის მდაბალმა შვილებმა, რომელთაც არ გაგვაჩნია არავითარი პრეტენზია პოლიტიკური მოღვაწეობისა და საჯარო მოხელეობისა, დავაარსეთ საზოგადოება სახელწოდებით „წინაპართა გზა“, რათა მოვიხადოთ ჩვენი მოქალაქეობრივი ვალი და მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის სამომავლო განვითარებასა და სულიერ წინსვლაში. სახელწოდება „წინაპართა გზა“ შევარჩიეთ ნიშნად უდიდესი მოწიწებისა და სიყვარულისა ჩვენი გმირი წინაპრების მიმართ, იმ გზის მიმართ, რომელიც უდიდესი ლოცვით, შრომითა და სისხლით განვლეს ჩვენმა წინაპრებმა, რათა ჩვენამდე მოეტანათ მზიური საქართველო, რომელსაც განგებამ ღვთისა, ერთადერთ ერს ცის ქვეშეთში, წილად არგუნა წილხვდომობა ყოვლადწმინდა ღმრთისმშობელისა მარიამისა.

შეიმეცნა და შეიყვარა რა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება და მისი ცხოველსმყოფელი ძალა, მოციქულთა ქადაგებებით ჩვენი პატარა ივერია საბოლოოდ განმტკიცდა და განსაკუთრებულად განკაცებული მაცხოვრის სიყვარულში წმინდა ნინოს ღვაწლითა და ლოცვით. ქრისტიანული სარწმუნოება იქცა ქვაკუთხედად ჩვენი სახელმწიფოებრიობისა, და შემდგომ ამისა, საქართველოს ისტორია ჯვარცმულ იესოს მიემსგავსა. როგორც წმინდა ილია მართალი აღნიშნავს, „ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენ ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის“.

მსოფლიოს ყველა ხალხთა შორის სწორედ ჩვენმა წინაპრებმა გაიღეს უდიდესი სისხლი განკაცებული მაცხოვრისათვის. არც ერთ ერს დედამიწაზე, ჩვენზე მეტი მოწამე არ მიუცია ზეციური მოზეიმე ეკლესიისათვის. მართლმადიდებლური საქართველო მუსულმანური ოკეანის შუაგულში, თანადგომის გარეშე, ზეადამიანური ძალით ღმერთს მინდობილი თელავდა საუკუნეების ქარტეხილებს. მშვიდობიანობის ჟამს აშენებდა ტაძრებსა და ციხე-სიმაგრეებს, სრულყოფდა და ხვეწდა თავის განუმეორებელ ფოლკლორსა და ხელოვნებას, რითაც განუზომელი წვლილი შეიტანა საკაცობრიო კულტურაში. საქართველოს სამოციქულო ეკლესია ერთადერთია მოციქულთა დროინდელ ეკლესიათა შორის, რომელიც არასდროს არ ჩავარდნილა მწვალებლობაში. მცხეთაში წმინდა სიდონიასთან ერთად დამარხული უფლის კვართი სიმბოლოა საქართველოს ეკლესიის ერთიანობისა და განუყოფელობისა.

ჩვენამდე გავლილი გზა ჩვენი წინაპრებისა, თავდადებით, სასოებით, კაცთმოყვარეობითაა გაჯერებული. ეს გზა სამაგალითო უნდა იყოს ყოველი ჩვენთაგანისათვის. სწორეთ მათი დამსახურებაა, რომ გვეამაყება ჩვენი ქართველობა. ჩვენი საზოგადოების შექმნის მიზანიც სწორედ ეს არის, რომ ვიაროთ ჩვენი დიდი წინაპრების მიერ უფლისკენ მიმავალ გაკვალულ გზაზე და ეს ესტაფეტა მომავალში ჩვენს შთამომავლობას გადავცეთ.

25 წელი გავიდა, რაც ჩვენმა ერმა გამოაღწია ათეისტური სახელმწიფოს ნანგრევებიდან და ნანატრი თავისუფლება მოიპოვა. მაგრამ ვაი რომ, ამ 25-მა წელმა უამრავი ტკივილი, ცრემლი და გაჭირვება მოგვიტანა. გადავიტანეთ ძმათამკვლელი ომები, დავკარგეთ გულანთებული პატრიოტები, აფხაზეთი და სამაჩაბლო, დავანგრიეთ ეკონომიკა, გადავიქეცით მომხმარებელ ერად, დაგვიცარიელდა ქალაქები და სოფლები, კატასტროფულად მოიკლო შობადობამ, დემოგრაფიულად ვიმყოფებით მომაკვდავ ერთა ათეულში. მილიონამდე ქართველი სამშობლოდან გადაიხვეწა ლუკმაპურის საშოვნელად, გვყავს ლტოლვილები.

ინფრასტრუქტურული მშენებლობებისა და სატრანსპორტო კომუნიკაციების განვითარების ფონზე, ერთადერთი პოზიტიური, ნიშანდობლივი და თვალში საცემი, რაც ქართველმა ერმა ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე შეძლო, ეს ჩვენი სულიერი ცხოვრების აღმავლობაა. ათეისტური ეპოქიდან გამოღვიძებული საქართველო დაუბრუნდა თავის მაცხოვნებელ დედა-ეკლესიას. ნელ-ნელა ვისწავლეთ ლოცვა, გაჩნდა ახალი სამრევლოები და ეპარქიები, მოგვიმრავლდა სასულიერო პირები, ბერ-მონაზვნობა, ავაგეთ ახალი ტაძრები და მათ შორის უმშვენიერესი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარი.

თუ გავაანალიზებთ განვლილ 25 წელს პოლიტიკური, ეკონომიკური, სულიერი კუთხით, და შევხედავთ ჩვენს წინაშე არსებულ გამოწვევებს, ქვეშეცნეულად გაგვიჩნდება რაღაც ახალი, ფუნდამენტური ცვლილებების მოთხოვნილება.

მოდით ერთხელ კიდევ გავიხსენოთ 90-იანი წლებიდან დღემდე გავლილი გზა. ულამაზესი კულტურისა და გმირული წარსულის მქონე ქართველი ერი თავისუფლებას რომ იმსახურებს მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში, საქართველოს მოსახლეობამ და მათ შორის ჩვენმა ოსმა და აფხაზმა ძმებმა, თითქმის ერთხმად დაადასტურეს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე. იმავე წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომ, გადავდგით რა პირველი ნაბიჯები თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობისა, მეყვსეულად თავი წამოყვეს ქვეყნის შინაურმა თუ გარეულმა მოწინააღმდეგეებმა, რასაც ეტაპობრივად მოყვა სახელმწიფო გადატრიალება, საომარი კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, ეკონომიკის სრული გაპარტახება-ნგრევა, კრიმინალის თარეში, უმძიმესი სოციალური ფონი, ქვეყნიდან ხალხის მასობრივი გადინების დაწყება.

ორსაუკუნიანი რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის გამო, საქართველო თავისუფლებას შეხვდა თითქმის ყოველგვარი პოლიტიკური თუ დიპლომატიური სკოლის, აზროვნების, განათლებული და შორსმჭვრეტელი პატრიოტების გარეშე. ქართული პოლიტიკა მთლიანად აიგო ენთუზიაზმზე, ამბიციურობასა და ვაი-პატრიოტიზმზე. სამწუხაროდ ჩვენ არ გაგვაჩნდა რეალური სურათი ჩვენს გარეთ მიმდინარე პროცესებისა. ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ელიტა თითქმის მთლიანად გადაერთო პოსტკომუნისტური ქონების დატაცებაზე, პოლიტიკა საქართველოში გახდა გამდიდრების უპირველესი წყარო. განვლილ 25-წლიან ისტორიაში, ძალზე მცირეა იმ პოლიტიკოსთა რიცხვი, რომელთა უანგარობასა და პატრიოტიზმში ეჭვი არ გასჩენია ქართველობას. 1991 წლიდან დღემდე, საქართველოში წარსულს ჩაბარდა და გაკოტრების გზას ადგას ყველა მმართველი ძალა და პარტია: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“, „მოქალაქეთა კავშირი“, „აღორძინება“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, 2012 წელთან შედარებით დაცემულია მმართველი პოლიტიკური პარტიის, „ქართული ოცნების“ რეიტინგი. ჩვენ წავაგეთ ყველა ომი, რომელიც წამოვიწყეთ თუ თავს მოგვახვიეს და ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი არის ის, რომ არასოდეს, არც ერთი მთავრობა, პოლიტიკური სტრუქტურა არ ითვალისწინებდა ქართველი ერის ქვაკუთხედის, მისი დედა-ეკლესიისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის შორსმჭვრეტელურ ღვთიურ სიბრძნეს. არავის არ უკითხავს ჩვენი პატრიარქისათვის საბრძოლო ოპერაციების დაწყება არც აფხაზეთში, არც სამაჩაბლოში, არც შიდა, არც საგარეო პოლიტიკის ძირეული საკითხები.

მართლმადიდებლობის, დედა-ეკლესიის ფუნქცია და დანიშნულება მარტო რელიგიური მსახურებების ჩატარება არ არის. ჩვენი სარწმუნოების ძალა მის ღვთიურ სიბრძნეში მდგომარეობს. ადამიანების და მთავრობის ნებისმიერი ქმედება ღვთიური შეფასებების ჩარჩოს ვერ აცდება. დედა-ეკლესიამ მშვენივრად უწყის, პიროვნების თუ მთავრობის რომელი ქმედებაა ღვთისთვის სათნო და მისაღები. ამიტომ უსმენდა ერი ყოველთვის სულიერ მამებს, საუკუნეების მანძილზე.

ქრისტეს მიერ საყვარელნო დანო და ძმანო, თვალი გადავავლოთ ჩვენი ერის ათას ცეცხლსა და უბედურებაში გამოვლილ წარსულს და დავრწმუნდებით, რომ საქართველოს ისტორია სავსეა ქვეყნის მმართველობაში დედა ეკლესიის აქტიური მონაწილეობის ფაქტებით. ჩვენი წმინდა მეფეები ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი და თამარი, გამორჩეულად ღვთისმოსავნი და დედა ეკლესიის ღირსეული შვილები იყვნენ. მეფე დავითი ქვეყანას 4 ბერის ხელით მართავდა, ესენი იყვნენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იოანე, აფხაზეთის კათოლიკოსი ევსტათი, მეფის აღმზრდელი გიორგი ჭყონდიდელი-მწიგნობართუხუცესი და არსენ იყალთოელი – მოძღვართ მოძღვარი. წმინდა გიორგი ჭყონდიდელი, მეფის გამზრდელი, მეფის შემდეგ პირველი პირი იყო საქართველოში. იგი მეფესთან ერთად წყვეტდა ომის დაწყებისა და არდაწყების საკითხს, და თუ საჭირო იყო, თვითონაც იბრძოდა. სამეფო ჯარიც მის მორჩილებაში იყო. მეთერთმეტე საუკუნეში, მეფე ბაგრატ მეოთხის მცირეწლოვანობის გამო, საქართველოში შემოჭრილ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ედგნენ ეპისკოპოსები – საბა მტბევარი და ეზრა ანჩელი. 1625 წლის 1-ელ ივლისს მარაბდის ველზე ხმლით ხელში მტერს შეაკვდნენ აწ უკვე წმინდანად შერაცხულნი, რუსთველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები. მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის წყალობით ქართლის ტახტზე ასული როსტომ ხანი ანტიმართლმადიდებლურ ცხოვრების წესებსა და ქცევებს ამკვიდრებდა, რაზეც განგაში ატეხა დედა-ეკლესიამ და მისმა წინამძღოლმა, წმინდა ევდემოზ კათოლიკოსმა, რომელიც როსტომ ხანს უშიშრად ამხელდა. როსტომ ხანმა საქართველოს და ქრისტეს სიყვარულით გულანთებული პატრიარქი ციხეში მოაკვლევინა, შემდეგ კი ციხიდან გადმოაგდებინა.

უღმრთო ხელისუფლებასთან ბრძოლას შეეწირნენ ერისა და ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის მებრძოლი მეოცე საუკუნის წმინდა პატრიარქები – კირიონ მეორე და ამბროსი ხელაია, რომლის სიტყვა ჯალათების მიმართ თქმული – „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული საქართველოს, გვამს რაც გინდათ ის უყავით“ მარადჟამს დარჩება ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულში. ეს ძალზე მცირედი ნაწილია იმ ფაქტებისა, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ქართველი ხალხისა და დედა-ეკლესიის ერთობას ჭირსა და ლხინში. თუმცა იყო საწინააღმდეგო ფაქტებიც. გავიხსენოთ გასული საუკუნის პირველი ნახევარი, როცა ქართველმა საზოგადოებამ დაიკავა ლოიალური დამოკიდებულება ათეისტურ, აგრესიულ, მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან, რამაც მიგვიყვანა დედა-ეკლესიის ტერორამდე და როგორ ზღო ქართველმა ერმა ამის გამო. პირველი უდიდესი დარტყმა, რაც ქართველობამ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით ტვინდაბინდული ვაი-ქართველებისგან მიიღო, ეს დიდი ილიას მკვლელობა იყო. წმინდა ილია მართალი იყო პიროვნება, რომლის სიცოცხლეში ათეისტურ მოძღვრებას არ ჰქონდა საქართველოში დამკვიდრების შანსი. 1917-18 წლების ცნობილი მოვლენების შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლებაში მოსულმა ათეისტურმა მენშევიკურმა მთავრობამ უკან გამოაბრუნა მის დასალოცად მისული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე, პირველივე დეკრეტებით დაიწყო დედა-ეკლესიისთვის ქონების ჩამორთმევა და ბოლოს მოღვაწეობა დაასრულა ქვეყნის სამარცხვინო დატოვებით. კომუნისტების ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ მივიღეთ ქართველი ინტელიგენციისა და პატრიოტების ეტაპობრივი რეპრესიები, ეკლესიების რბევა, სასულიერო პირების განადგურება. თეოლოგებმა კარგად იციან ღვთისმეტყველების ისტორიის საგნის შესახებ, მაგრამ როგორც ჩვენი პატრიარქი ამბობს, ჯერ არ დაწერილა ისტორიის ღვთისმეტყველების ნაშრომი, ანუ ისტორია ღვთისმეტყველების კუთხით. ვფიქრობთ, სწორედ ეკლესია-მონასტრების ნგრევისა და სასულიერო პირების განადგურების გამო დაუშვა უფალმა 1941-1945 წლები, რომელმაც მხოლოდ საქართველოდან 300 000 სიცოცხლე შეიწირა. ასე აგო ჩვენმა ერმა პასუხი ღვთის წინაშე დედა-ეკლესიის ხელყოფისა და გაუფრთხილებლობისათვის.

ქრისტესმიერო საყვარელო დანო და ძმანო, დაფიქრდით და გააანალიზეთ ყოველივე. 200 წელზე მეტი გვაშორებს იმ დროიდან, რაც საქართველოს ეკლესია ჩამოშორებულია თავის ერის ცხოვრებაში რეალურად ჩართულობას. ასეა დღეს, გარეგნული მოწიწების და პატივისცემის მიუხედავად, ჩვენი პოლიტიკური ელიტა, შესაძლოა თავის ნების წინააღმდეგაც კი, შორს დგას ჩვენი ბრძენი პატრიარქის რჩევების პრაქტიკულ განხორციელებაში, რამაც, ჩვენი აზრით, მიგვიყვანა ქვეყანაში შექმნილ დღევანდელ რეალობამდე, რომლის ძირითადი უარყოფითი მხარეები პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი ნიშნით შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ა) საქართველოს პოლიტიკური მმართველობა მოქცეულია უცხოური ძალების გავლენის ქვეშ. ჩვენი ქვეყანა არის ყველაზე სუსტი თავდაცვისუნარიანობის მქონე მთელს რეგიონში. იგი მოქცეულია ორი ატომური, ზესახელმწიფოს ინტერესების ქვეშ, დაკარგულია ყოველგვარი ურთიერთობა საქართველოს ძირძველ კუთხეებთან – აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან. ქვეყანა მოიცვა ნიჰილიზმმა.

ბ) ეკონომიკურად ქვეყანა არის გასაცოდავებულ მდგომარეობაში. ვერ ვაწარმოებთ ელემენტარულად ასანთსაც კი. არ ვიცავთ შიდა ბაზარზე ადგილობრივი წარმოების პროდუქციას. არ ჩანს ქვეყნის ინდუსტრიული განვითარების რაიმე რეალური პერსპექტივა. არ ვითვალისწინებთ, რომ მარტო სატრანსპორტო და ტურისტული ფუნქციებით ქვეყნის ეკონომიკას წინ ვერ წავწევთ – რაც ჯამში ხდება მიზეზი საქართველოდან ახალგაზრდებისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივი გადინებისა. ფაქტია, საქართველოდან გარბის და უკან აღარ ბრუნდება ყველა, ვისაც ამის საშუალება აქვს. ისტორიულად აგრარული ქვეყანა ვერ აწარმოებს თავის საკმარის საკვებ პროდუქტსაც კი.

გ) ქართული ცნობიერება განიცდის ნეოლიბერალური ძალების მძლავრ შემოტევას, რომელთა ძირითადი დარტყმა ხორციელდება საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელის, ილია მეორის წინააღმდეგ. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმა. საქართველოს ტელე-მედია თითქმის მთლიანად ემსახურება ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის ჩვენი არაქართველი ძმების ტვინის გამორეცხვას. მიდის მიზანმიმართული შეტევა ქართულ გენზე, რომ ჩვენ ვართ უსუსურნი, არ შეგვიძლია დამოუკიდებლად ვმართოთ ჩვენი ქვეყანა, მაშინ როდესაც, ისტორიულად, ბედით თუ უბედობით, მრავალტანჯული ივერიის შვილებს წარუშლელი ღვაწლი მიუძღვით მეზობელი ქვეყნების საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ალბათ ყოველგვარ ზღვარს გადაცდა ქართველი ნეოლიბერალების შეურაცხმყოფელი გამონათქვამები ჩვენი სათაყვანებელი პატრიარქის მიმართ. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მათგანს: „ქართველების გამკვირვებია, ის რომ ქალაქში გამოსული ცხოველები ჩვენ დავაძინეთ და დავზოცეთ, როდესაც მთავარი მტაცებელი არის თავისუფალი. პატრიარქი სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ ვოლიერში როგორც მტაცებელი, დიდი მტაცებელი. ამაზე დიდი მტაცებელი მე არ ვიცი“.

ვითვალისწინებთ რა, მრავალტანჯული ივერიის სამოციქულო ეკლესიის და მისი წინამძღოლის, უწმინდესი ილია მეორის უდიდეს დამსახურებას ქართველი ერის წინაშე და საუკუნეების მშვიდობიან თანაარსებობას საქართველოს ყველა სხვა ძირითად რელიგიურ კონცეფციებს შორის, მოვითხოვთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები და გამკაცრდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ჩვენი პატრიარქის, დედა ეკლესიის, ასევე სხვა რელიგიურ კონცეფციათა და მათ ხელმძღვანელთა შეურაცხმყოფელთა მიმართ.

შეგახსენებთ დანო და ძმანო, რომ ქართველი ერი ეს ის ერია, რომელსაც აქვს საოცრად გმირული წარსული, სადაც ქრისტე და მოყვასის სიყვარული ქრისტიანული გარდამოცემით, მაცხოვრის ექვსმა მოციქულმა, ანდრია პირველწოდებულმა, მატათიამ, სვიმონ კანანელმა, ბართლომემ, თომამ და თადეოზმა იქადაგეს. ქართველობამ მართლმადიდებლური სულით და ლოცვით გაუძლო მურვან ყრუს, ჯალალ-ედდინს, მონღოლებს, თემურ ლენგს, შაჰ-აბასსა და ათასი სჯულის მომხვდურს. ჩვენ ის ერი ვართ, რომელმაც დღემდე მოიტანა განუმეორებელი და განსაცვიფრებელი ფოლკლორი, ხელოვნება, პოეზია და მსოფლიოს უჩვენა კაცთმოყვარეობის უდიდესი მაგალითები, თუნდაც ლტოლვილ ებრაელ ერთან 26 საუკუნოვანი ურთიერთობით და სხვა რელიგიური აღმსარებლობის შვილებთან მშვიდობიანი საუკუნოვანი თანაარსებობით. ჩვენთან ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში, სულმნათმა თამარმა აკრძალა სიკვდილით დასჯა. ჩვენ ის ერი ვართ, რომელსაც სამი დამწერლობა გაგვაჩნია და ყველაფერი ეს ჩვენი ქრისტიანული სულის დამსახურებაა.

მრავალჭირნახული ქართველი ერი საუკუნეების მანძილზე ბოლომდე ენდობოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას და თავის დედა-ეკლესიას. სწორედ სამკვდრო-სასიცოცხლო ომებში, წინა ხაზზე ბრძოლისათვის და ქრისტეს სარწმუნოებისადმი მოწამეობრივი თავდადებისათვის ენდობოდა ქართველობა სამეფო ხელისუფლებას. დღეს შეიძლება დაეჭვების გარეშე ითქვას, რომ პოლიტიკური ძალებისადმი მეტ-ნაკლებად დაკარგული ნდობის ფონზე, უდიდესი მოამაგე და იმედი ჩვენი ერისა, მისი დედა-ეკლესია და უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა.

დაუშვებლად მიგვაჩნია საქართველოს კონსტიტუცია ტრაფარეტული და საიდანმე გადმოწერილი იყოს. ქვეყნის მთავარი კანონი მის ზნეობრივ, ეთიკურ, ისტორიულ მოთხოვნილებებს უნდა პასუხობდეს. ჩვენს კონსტიტუციაში გარკვევით უნდა ჩაიწეროს და გამოცხადდეს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად.

ვიცით, რომ ჩვენ ამ მოთხოვნას გამოუჩნდება უამრავი მოწინააღმდეგე, ჩათვლიან მას არაქართველი მოსახლეობის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციად, ჩვენი ნეოლიბერალი ძმები ხომ სავარაუდოდ გონს დაკარგავენ. მათ გასაგონად ვიტყვი, რომ ჩვენმა არაქართველმა ძმებმა, კარგად იციან ქართველი ერის მათდამი დამოკიდებულება და სიყვარული. მათ შეურყევლად სწამთ ჩვენი უსაყვარლესი პატრიარქისა, რომელიც არასდროს არაფრის, თვით წამების ფასადაც არ უღალატებს თავის სამშობლოს, ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ინტერესებს. ჩვენი ვაი-პოლიტიკოსების კინკლა-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

რომან გოცირიძე: „ხელისუფლებას ლარის გაუფასურებაზე სწორი წარმოდგენა არ აქვს“

ნონა ცაბაძე

მთავრობის ადმინისტრაცია ლარის გაუფასურების მიზეზებზე საუბრობს და განცხადებას აქვეყნებს. ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებას დიდი კრიტიკა მოჰყვა საზოგადოებისა და ეკონომიკური ექსპერტების მხრიდან. „ახალი თაობის“ კითხვებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გამოქვეყნებულმა განცხადებამ. რატომ, სიტუაციიდან გამომდინარე, ეს არ იყო ადეკვატური?

– მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული განცხადება ლართან დაკავშირებით აბსოლუტურად არაადეკვატურია. მათი განცხადებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ხელისუფლებას არ აქვს სწორი წარმოდგენა ლარის გაუფასურებაზე და კვლავ ხდება გადაბრალება გარე ფაქტორებსა და ზოგიერთ შიდა ძალაზე.

– რა ამოიკითხეთ მათ

გზავნილში?

– მათ დღემდე ვერ გაუცნობიერებიათ, თუ რა პროცესები მიდის ეკონომიკაში და რისი ბრალია როგორც ლარის გაუფასურება, ასევე დაბალი ეკონომიკური ზრდა და მთლიანობაში, ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა! ისევ თავის მართლების პოზაში იმყოფებიან. კვლავ გადაბრალება საგარეო და საშინაო ფაქტორებზე. საკმაოდ დიდი ხანი დუმდნენ, რაღაც თავის გამამართლებელი საბაბის პოვნა უნდოდათ.

– იპოვეს ეს საბაბი?

– აქამდე ვისმენდით განცხადებებს, რომ ყველაფერი კარგად იყო, ეკონომიკა აღმავლობის გზას ადგა. ეროვნული ბანკი აცხადებდა, რომ ეს რყევები ერთი-ორმა ტრანზაქციამ გამოიწვია და ასე შემდეგ. ახლა ისევ ძველ სიმღერას დაუბრუნდნენ და მათ ბოლო განცხადებაში ისევ საუბარია საგარეო ფაქტორებზე. თურმე ჩვენი ლარი იმიტომ გაუფასურდა, რომ ჩვენი სავაჭრო პარტნიორების ვალუტებიც გაუფასურებულა. ალბათ, იგულისხმება ან თურქეთი, ან სომხეთი, ან აზერბაიჯანი, ან რუსეთი. სინამდვილეში კი რუსეთში საკმაოდ დიდი ხანია, სტაბილურია ეროვნული ვალუტა. სომხეთში ეროვნული ვალუტა მთელი წლის განმავლობაში მყარდება, აზერბაიჯანშიც მეტ-ნაკლებად სტაბილურია, თურქეთს თავისი სპეციფიკა აქვს. ამ ქვეყანას თავის პრობლემები აწუხებს და არ შეიძლება ამ ქვეყნის ვალუტის შედარება ლართან.

– შიდა ფაქტორებიც იყო ნახსენები განცხადებაში.

– ვინაიდან ვერ გადათქვეს ეს ფუნდამენტური ფაქტორის არსებობა, ადგნენ და დააბრალეს „ვიღაცებს“. თურმე „ვიღაცები“ არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებენ და ამით თურმე ლარს უშლიან ხელს.

– ვინ არიან ეს „ვიღაცები“, მათი ოპონენტები?

– ეს შეიძლება იყოს ჟურნალისტიც, ექსპერტიც და ასე შემდეგ. ეს შეფასება არასწორია. როცა დიაგნოზი არასწორია, მკურნალობაც არასწორი იქნება. ჯერ ერთი, მთავრობის კანცელარიას, ტექნიკურ სამსახურს რა უფლება აქვს, განცხადებას აკეთებს ლართან დაკავშირებით? არსებობს მთავრობა ან პრემიერ-მინისტრი და მათი პოზიცია უნდა მოგვესმინა. ამ განცხადებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ ხელისუფლებას არ აქვს სწორი წარმოდგენა ლარის გაუფასურებისა და ზოგადად ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ამ განცხადებით ვიგებთ, რომ მთავრობა რაღაცას აპირებს და მორიგ განცხადებას უნდა ველოდოთ. განცხადებაში შემაშფოთებელი მინიშნებები იკვეთება.

– რას გულისხმობთ?

– მინიშნებებია რაღაც რეგულაციებზე. ეს არცაა გასაკვირი, როცა ახალ-ახალი მარეგულირებელი ნორმების შემოღება ამ მთავრობის ჩვეული წესი იყო და დიდწილად მან შეუწყო ხელი არსებული ვითარების ჩამოყალიბებას.

– ეს როგორ გავიგოთ?

– ლარი ყოველგვარი ზედმეტი რეგულირების გარეშე ათი წელიწადი იყო სტაბილური. მთავრობის განცხადების სულისკვეთება დამაბნეველია, ცუდ სიგნალებს უგზავნის ინვესტორებსა და საფინანსო სექტორს და შეიძლება გახდეს ვითარების კიდევ უფრო გაუარესების მიზეზი.

ხელისუფლებას ჩიხში შეჰყავს ვითარება, რადგან ყველა მისმა მარეგულირებელმა ქმედებებმა უარყოფითი შედეგი გამოიღო. ერთი პატარა მაგალითია, როგორ ბოდიშობდნენ შემდეგ ირანელი ტურისტებისთვის სავიზო რეჟიმის დაწესებას. ამიტომ რეგულაციაზე საუბარი აფრთხობს ბიზნესსა და საფინანსო სექტორს, აფრთხობს ბიზნესმენს, რომელსაც კი არ სჭირდება ხელოვნურად დარეგულირებულ ქვეყანაში შემოსვლა, არამედ სჭირდება თავისუფალ ბაზარზე შემოსვლა, სადაც უფრო მეტი გაქანებული საქანი ექნება მის კაპიტალს.

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ეროვნულ ბანკს ადეკვატური განმარტებების გაკეთებას ურჩევს

ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი ირაკლი მანაგაძე ლარის გაუფასურებასთან დაკავშირებით ფეისბუქის საკუთარ გვერდზე მცირე კომენტარს აქვეყნებს.

ეს პრაქტიკულად მანაგაძის პირველი კომენტარია.

ირაკლი მანაგაძეს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის პოსტი 1998 წლის მარტიდან 2005 წლის მარტის ჩათვლით ეკავა.

– დიდი ხანია შეგნებულად ვცდილობ, თავი შევიკავო ქართულ ეკონომიკაზე, ლარზე თუ ზოგადად ფულად-საკრედიტო სფეროზე კომენტარებისგან. არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ამ თემებზე აქტიურობით „ექსპერტებისა“ თუ თანამდებობების მაძიებლების რიგებს შევუერთდე ან ამ საკითხებზე საუბრითა და ზოგიერთებივით კეკლუცობით პოპულარობის მოხვეჭას შევეცადო, თუმცა ის, რომ არ ვცხოვრობ საქართველოში და ჩემი მცირედი გამოცდილების გაზიარებას ხშირად სხვა ქვეყნებში მეტად მთხოვენ, არ ნიშნავს იმას, რომ არ შემტკივა გული ჩემს ქვეყანაზე.

ამიტომ კიდევ ერთ რჩევას მაინც მივცემ ხელისუფლებას – ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის ჩემი შვიდწლიანი გამოცდილებიდან და ზოგადად მსოფლიოში მიღებული პრაქტიკიდან გამომდინარე: გასაგებია რომ „ექსპერტებს“, ოპოზიციას, ჟურნალისტებს ვერავინ ვერ მოსთხოვს, ამ თემებზე არ ისაუბრონ და ხშირ შემთხვევებში სისულელეების ლაპარაკით პანიკას არ შეუწყონ ხელი, მაგრამ ხელისუფლების ვალდებულებაა, რომ ამ თემებზე მისი მხრიდან შეთანხმებულად ისაუბროს მხოლოდ იმ ხალხმა, ვისაც ეს ეხება და ვისაც შესაბამისი კომპეტენცია გააჩნია.

პირველ რიგში კი, ეროვნულმა ბანკმა, რომელიც უშუალოდაა პასუხისმგებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკასა და საბანკო ზედამხედველობაზე, თავად უნდა აიღოს ხელში მისი კომპეტენციის საკითხებზე საზოგადოებისთვის ადეკვატური განმარტებების გაკეთების ინიციატივა, – წერს ირაკლი მანაგაძე.

კომპანია „აგარის შაქარი“ დაიხურა

„კომერსანტისთვის“ ცნობილი გახდა, რომ შაქრის უმსხვილესი მწარმოებელი, კომპანია „აგარის შაქარი“ დაიხურა.

როგორც კომპანიის გენერალური დირექტორი ალხან ალიზადე აცხადებს, ქარხანა 10 დღეა გაჩერებულია. მისი თქმით, ქარხნის დახურვის მიზეზი იმპორტირებულ პროდუქციასთან კონკურენცია გახდა.

– ქვეყანაში შაქარი ძირითადად უკრაინიდან შემოდის, რომელსაც ბაზრის დაახლოებით 50 პროცენტი უკავია და თანაც იაფია. იმის გამო, რომ უკრაინული შაქარი იაფია, მასთან კონკურენცია ძალიან რთულია. ჩვენ რომ წარმოება აღარ აღვადგინოთ, შაქარზე მოთხოვნას იმპორტირებული პროდუქცია დააბალანსებს. შესაბამისად, ბაზარზე არც დეფიციტი იქნება და არც ფასი გაიზრდება, – აცხადებს ალიზადე.

კითხვაზე, განახლდება თუ არა წარმოების პროცესი და რაზეა ეს დამოკიდებული, ალიზადე აცხადებს, რომ სამუშაო პროცესი, სავარაუდოდ, იანვარში განახლდება, თუმცა ეს დამოკიდებული იქნება კომპანიის მენეჯმენტსა და ახალ მთავრობას შორის მოლაპარაკების შედეგზე.

ალიზადე ამბობს, რომ კომპანია „აგარის შაქარში“ 500-მდე ადამიანია დასაქმებული.

აგარის შაქრის ქარხანა ქარელის რაიონის დაბა აგარაში 1932 წელს დაარსდა.

1958 წლამდე ქარხანა შაქრის წარმოებას ადგილობრივი წარმოების შაქრის ჭარხლისგან ახდენდა, რომლის წლიური მოცულობა 100.000 ტონას არ აღემატებოდა, ხოლო მისგან წარმოებული თეთრი შაქრის წარმოება კი – 8.000 ტონას. 1958 წლიდან 1995 წლამდე ქარხანა თეთრი შაქრის წარმოებას როგორც შაქრის ჭარხლისაგან ისე შაქრის ლერწმისაგან დამზადებული ნედლეულისაგან ახდენდა, ხოლო 1995 წლიდან მოყოლებული, იმის გამო, რომ საქართველოში შაქრის ჭარხლის წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირდა და მისი წლიური მოცულობა 10.000 ტონას აღარ აღემატებოდა, ქარხანა თეთრ შაქარს შაქრის ლერწმისგან დამზადებული ნედლეულისგან აწარმოებდა.

ქარხანა ნედლეულის შეძენას მსოფლიო ბირჟაზე იმ დროისთვის არსებული ფასის შესაბამისად ახდენდა. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული პრობლემებისა ქარხანას არცერთ წელს არ შეუწყვეტია მუშაობა. 2013 წლიდან კომპანია „აგარის შაქარი“ იაფი უკრაინული შაქრის ბაზრიდან განდევნას მოითხოვდა.

სოფო ქსოვრელი, კომერსანტ.გე

ქართული ღვინო ჩინეთის 70-მილიონიანი ჰუნანის პროვინციაში გაიყიდება

ქართული ღვინის ექსპორტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 70-მილიონიანი მოსახლეობის ჰუნანის პროვინციაში იწყება. ამის შესახებ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილმა ჩინეთში სამუშაო ვიზიტის დასრულების შემდეგ განაცხადა.

გიორგი სამანიშვილი ჰუნანის პროვინციის ადმინისტრაციულ დედაქალაქ ჩანშაში სავაჭრო ცენტრის გახსნაზე საპატიო სტუმრად იყო მიწვეული. აღნიშნულ ცენტრში ქართული ღვინოც არის წარმოდგენილი.

– ჩანშაში ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გავმართეთ პროვინციის ვიცე-გუბერნატორთან, ასევე სავაჭრო ცენტრის კომერციულ დირექტორთან, სადაც განხილული იყო ქართული ღვინის პერსპექტივები აღნიშნულ პროვინციაში. ჰუნანის პროვინციის წარმომადგენლები დაინტერესებულნი არიან ქართული ღვინის იმპორტით და ამ მიზნით, მომავალი წლის დასაწყისში ვიზიტით ეწვევიან საქართველოს, – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის ჩინეთში ვიზიტის ფარგლებში, შანხაის თავისუფალ სავაჭრო ზონაში მდებარე ღვინის ცენტრში (ბირჟა) ასევე გაიხსნა ქართული ღვინის სივრცე, სადაც ამ ეტაპზე წარმოდგენილია 10 ქართული ღვინის კომპანიის პროდუქცია. სამანიშვილის განცხადებით, იგეგმება სამომავლო ღონისძიებები, რათა აღნიშნულ ცენტრში კიდევ უფრო მეტი ქართული ღვინო იყოს წარმოდგენილი.

„წინაპართა გზის“ მიმართვა

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის შვილებისა და სრულიად საქართველოს მოსახლეობის მიმართ

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ობით გადაღლილი მოსახლეობა იმსახურებს, რათა კონსტიტუციის ძალით სამოციქულო ეკლესიას ჰქონდეს მათზე რეალური ზემოქმედების ძალაუფლება. დავფიქრდეთ ძვირფასებო, თუ რამდენ უბედურებას გადარჩებოდა ჩვენი მცირერიცხოვანი, პატარა ერი, თუ ჩვენს კონსტიტუციაში ჩაწერილი იქნებოდა მუხლი, რომლის მიხედვით საერო ხელისუფალთათვის ჩვენი ბრძენი პატრიარქის თანხმობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საბრძოლო ოპერაციების დაწყება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. საბედნიეროდ საქართველოს ჰყავს ეროვნულად მოაზროვნე ძალები და პოლიტიკოსები. სწორედ მათთან ერთად უნდა შემუშავდეს კონსტიტუციაში შესატან ცვლილებათა პაკეტი. ამ საშვილიშვილო საქმის აღსრულებაში გადამწყვეტი სიტყვის თქმისათვის და აქტიურობისათვის მოგიწოდებთ ჩვენი დედა-ეკლესიის შვილებს, რომელთათვისაც ღვთის გარეშე ცხოვრებას არა აქვს აზრი. ჯერ არ მომხდარა საქართველოს უახლოესი ისტორიის მანძილზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის შეკრება ქვეყნის საჭირბოროტო საკითხების განსახილველად. მაგრამ დღეს გარემოება გვიბიძგებს ჩვენ, მდაბალ შვილებს დედა-ეკლესიისა, რათა ვთქვათ გადამწყვეტი სიტყვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიისათვის ერის ცხოვრებაში ჭეშმარიტი ადგილის დამკვიდრებაში, რომლის შედეგებსაც თვალნათლივ დაინახავს საქართველოს მთელი მოსახლეობა. ერთსაც დავუმატებთ ჩვენო ძვირფასებო, ნუ იფიქრებთ, რომ ოდესმე ჩვენი ერის მამა, უწმინდესი ილია მეორე, რომელიც უძვირფასესი პიროვნებაა ჩვენი ერისთვის, ან რომელიმე მეუფე, ან რომელიმე ღვთისმსახური ჩვენი ეკლესიისა გვეტყვის ჩვენ, თავის სულიერ შვილებს, რომ დავიწყოთ ბრძოლა და შრომა ჩვენი ეკლესიის ისტორიული ადგილის დასამკვიდრებლად. უნდა გავთვითცნობიეროთ, რომ ჩვენი ეკლესიის რეალური ჩართულობა ერის ცხოვრებაში, ეს ჩვენთვისაა სასიცოცხლო აუცილებლობა, თორემ ჩვენს დედა-ეკლესიას და ჩვენი გონებისთვის მიუწვდომელ სულიერ სიმაღლეზე მყოფ ჩვენს პატრიარქს, ეს დატვირთვასა და საზრუნავს კიდევ უფრო მოუმატებს. ეს ჩვენ უნდა ვთხოვოთ ჩვენ პატრიარქსა და დედა-ეკლესიას, საერო ხელისუფლებასთან ერთად აქტიურად ჩაერთონ ერის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ყოველი ერის შვილების ინტერესების დასაცავად.

ქრისტეს მიერ საყვარელნო, გქონდეთ სრული იმედი იმისა, რომ თუ ჩვენ ერთმანეთის გვერდით დავდგებით, არ დავიღლებით ჩვენი მაცხოვნებელი დედა ეკლესიის სიყვარულში, არ მივეცემით მცონარობას და უიმედობას, უეჭველად შევძლებთ ამ უდიდესი ნაბიჯის გადადგმას ჩვენი ერის ისტორიაში. არ არსებობს ძალა, რომელიც მოერევა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას და მისი სულიერი შვილების ერთობას. დღევანდელი ისტორიული მომენტი მოგვიწოდებს, რათა ვთქვათ ჩვენი სიტყვა, ჩვენი შვილების და მომავალი თაობების საკეთილდღეოდ. დღევანდელი მოქმედი კონსტიტუციით, კანონიერ ფარგლებში, ხელმოწერების შეგროვებითა და რეფერენდუმის გზით, უნდა მივაღწიოთ, რომ ჩვენმა მრავალტანჯვაგამოვლილმა ეკლესიამ კუთვნილი ადგილი დაიკავოს ქართველი ერის ცხოვრებაში. გავა დრო და თითოეული ჩვენგანი წარვდგებით ყოვლისმხილველი უფლის წინაშე, და ვგონებ, არ უნდა გვქონდეს შინაგანი განცდა იმისა, რომ თითოეულმა ჩვენგანმა რაიმე არ გააკეთა და ძალისხმევა დააკლო მშობლიურ დედა-ეკლესიას, რათა ჩვენც, ივერიის სამოციქულო ეკლესიის მდაბალმა შვილებმა, ღირსეულად წარმოვთქვათ ჩვენი ძვირფასი წინაპრების მიერ ანდერძად დატოვებული ულამაზესი სიტყვები:

„ახა გეცხოვნეთ შენ, სიწმინდით მშობელო, ჩვენო, ჯათოლიჯე ეკლესიაო,
ახცა განგცეთ შენ, სიქადეღო ჩვენო, მახთიმადიდებლობაო.“

ველით გამოხმაურებას
ტელ: 555 38 92 34 მამუკა; 599 61 22 91 გიორგი:

მოწყალებისა ჯახი განგვიღე ჯუჰითხეეღო ღვთისმშობელო, ჰათა ჰომეღი ესე შენ გესავთ, ახა დავეცნეთ, ახამედ განვეჰნედ წინააღმდგომთა მტეჰითაგან, ჰამეთე შენა ხახ ცხოვჰება ნათესავისა ქჰისტიანეთასა. ამინ!

ლარი გაუფასურდა

ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებით გაუფასურდა.

დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.4956 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.4890 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0066 ლარი შეადგინა. ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებითაც გაუფასურდა. კერძოდ, დღეიდან 1 ევროს შეძენა 2.6933 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.6797 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებით 0.0136 ლარი შეადგინა.

რეპრესიები თუ ბრძოლა ნარკოტიკების წინააღმდეგ

„ახალი თაობა“ უკვე წერდა 14 ნოემბერს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში 10 ქალის დაკავების შესახებ, რომელთა შორის მოძრაობა „თეთრი ხმაურის“ აქტივისტი ქეთა გაბუნიაც იყო.

„თეთრი ხმაურის“ წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათი აქტივისტი მოძრაობის საქმიანობის გამო დააკავეს.

არ არის გამორიცხული, „თეთრი ხმაურის“ აქტივისტებმა სამართალდამცავთა ქმედება აქციით გააპროტესტონ.

როგორც ნიუპოსტს მოძრაობის ერთ-ერთმა აქტივისტმა დავით სუბელიანმა განუცხადა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადამიანის უფლებები უხეშად დაარღვია.

– შს სამინისტრო ცდილობს, ეს შემთხვევა წარმოაჩინოს, როგორც ცალკეული შემთხვევა, თუმცა ჩვენი შეფასება არის, რომ ჩვენ წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლა მიმდინარეობს. მახინჯი ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად დაწყებული ბრძოლა ჩვენი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის დაკავებით დასრულდა, – განაცხადა დავით სუბელიანმა.

მისი თქმით, როცა „თეთრი ხმაურის“ მოძრაობა იკრიბებოდა, შეხვედრაზე მიმავალი აქტივისტი სამართალდამცავებმა კოლმეურნეობის მოედანზე გააჩერეს.

– პოლიციამ ისე, რომ საბუთებიც კი არ მოუთხოვია, მოითხოვა ამ ადამიანის ავტომობილიდან გადმოსვლა და დაიწყეს მისი გაჩხრეკა. ეს ხდება იმავე საღამოს, როცა ქუთაისის აეროპორტში ქეთა გაბუნია დააკავეს. ეს არის ჩვენი ორგანიზაციის დისკრედიტაციის მცდელობა, – განუცხადა ნიუპოსტს დავით სუბელიანმა.

მისი თქმით, სამართალდამცავებს ქუთაისის აეროპორტში არანაირი ნარკოტიკული საშუალება არ უპოვიათ.

– პოლიციას ნარკოტიკული საშუალება რომ ეპოვა, ეს გასცდებოდა კონკრეტულ დანაშაულს, და დაიწყებოდა კამპანია, რომ „თეთრი ხმაური“ და კლუბის წევრები ქვეყანაში ნარკოტიკებს ეზიდებიან. რა თქმა უნდა, ეს მათ არ გამოუვათ, რადგან ჩვენ ამას არ ვაკეთებთ, – აღნიშნა მოძრაობის აქტივისტმა.

„თეთრი ხმაურის“ წევრები ასევე აცხადებენ, რომ სამართალდამცავთა მხრიდან, შესაძლოა, პროცედურულ გადაცდომებსაც ჰქონოდა ადგილი:

„თეთრი ხმაური“ პოლიციის მხრიდან მიზანმიმართულ დევნაზე საუბრობს

– არაადამიანური მოპყრობა სახეზეა, ეს ადამიანები 7-8 საათის განმავლობაში გაჩერებულები ჰყავდათ, ჩხრეკდნენ, ექოსკოპიაც ჩაუტარეს, რაც დაახლოებით 2.400 ლარი დაჯდა. როცა ვერაფერი იპოვეს, ყველა მათგანი გვიან ღამით გამოუშვეს.

❖ ❖ ❖

14 ნოემბერს მომხდარ ფაქტს ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიც სწავლობს.

იურისტი გურამ იმნაძე იმ დარღვევებზე საუბრობს, რომლებიც სამართალდამცავებმა აღნიშნულ საქმეში ჩაიდინეს.

მისი თქმით, არც ერთ დაკავებულს დაკავების საფუძველი არ განემარტა.

– გუშინდელი შემთხვევები კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არსებული ნარკოპოლიტიკა არის უფლებების შეზღუდვასა და რეპრესიებზე ორიენტირებული და ის რეალურ ადეკვატურ მიზნებს არ ისახავს. გუშინ მომხდარი ფაქტი არის ადამიანის პირად ცხოვრებაში და მის ღირსებაში უხეში ჩარევა, მით უმეტეს იმ ფონზე, რომ ეს ყველაფერი განხორციელდა აბსოლუტურად უსაფუძვლოდ, ისე, რომ ამ ადამიანებს არც კი განემარტათ, რა იყო ამ ყველაფრის საფუძველი და კიდევ უფრო საგანგაშოა ის, რომ, შესაძლოა, ეს ყველაფერი უკავშირდებოდეს ამ ადამიანების სამოქალაქო აქტივიზმს, – აცხადებს გურამ იმნაძე.

❖ ❖ ❖

თავად ქეთა გაბუნია დარწმუნებულია, რომ მისი დაკავება მის აქტიურობას უკავშირდება.

– დაახლოებით ოთხი საათის განმავლობაში ვყავდით დაკავებული. ამ ხნის განმავლობაში შეგვამოწმეს. შემდეგ კი ტომოგრაფიაზე გადაგვიყვანეს ქუთაისის საავადმყოფოში. ტომოგრაფიამაც შედეგი ვერ გამოიღო. ყველაფერ ამას მე ჩემს საქმიანობას ვუკავშირებ, რადგან ვარ „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის წევრი, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას ქეთა გაბუნიამ.

ცნობისთვის, ქეთა გაბუნია კლუბის „მტკვარზე“ მფლობელია. მასთან ერთად დაკავებული იყო კლუბის 5 თანამშრომელი.

არ არის გამორიცხული, რომ „თეთრი ხმაურის“ წევრებმა ადამიანის უფლებათა დარღვევისა და ღირსების შელახვისთვის სასამართლოს მიმართონ.

სასამართლომ ალექსი პეტრიაშვილის დაჭრაში ბრალდებულ ლევან მექვაბიშვილს 12 წელი მიუსაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ თავისუფალი დემოკრატების ყოფილი წევრის ალექსი პეტრიაშვილის დაჭრაში ბრალდებულ ლევან მექვაბიშვილს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აღნიშნულთან დაკავშირებით განცხადებას მთავარი პროკურატურა ავრცელებს და განმარტავს, რომ სასამართლომ მათი მტკიცებულებები გაითვალისწინა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ლევან მექვაბიშვილი დამნაშავედ ცნო ჯგუფურად, განსაკუთრებული სისასტიკით ალექსი პეტრიაშვილისთვის ჯანმრთელობის განზრახ მძიმე ხარისხის დაზიანების მიყენებაში, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ და მე-7 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით.

გამოკვლეული მტკიცებულებებით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ 2016 წლის 26 თებერვალს დაახლოებით 11:50 საათზე, ქ.თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე ძმათა სასაფლაოზე ლევან მექვაბიშვილი და გამოძიებით დაუდგენელი პირი თავს დაესხნენ ალექსი პეტრიაშვილს და განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, მეტალის ჩაქუჩითა და „ბეისბოლის ჯოხით“ სცემეს და ცეცხლსასროლი იარაღიდან მრავალჯერადი გასროლის შედეგად სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე ხარისხის დაზიანებები მიაყენეს, შემდეგ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა ლევან მექვაბიშვილი 2016 წლის 6 მარტს ქ.ბორჯომში დააკავეს. ლევან მექვაბიშვილის თანმხლები, დაუდგენელი პირის მიმართ საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და მიმდინარეობს გამოძიება.

საქმეზე გამოძიება დაიწყო 2016 წლის 26 თებერვალს, ხოლო სასამართლოში საქმის განხილვა 2016 წლის 15 ნოემბერს დასრულდა. საქმეზე მოწმის სახით დაიკითხა 110 პირი, გამოკვლეული იქნა არაერთი ექსპერტიზის დასკვნა, ნივთიერი მტკიცებულებები. გარდა ამისა, სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები, ასევე სათვალთვალო ვიდეოკამერებზე დაფიქსირებული ჩანაწერები.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ლევან მექვაბიშვილი დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი ჯგუფურად) და მე-7 ნაწილის „ბ“ (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

პაატა ბატიაშვილის კლანი კახეთში — გუბერნატორის მოადგილედ ირაკლი შიოშვილი ინიშნება

კახეთის გუბერნატორის მოადგილედ ირაკლი შიოშვილი ინიშნება. შიოშვილი „ბილაინის“ კახეთის რეგიონულ ოფისში მუშაობდა, ამჟამად კი ღვინისა და ტურიზმის ბიზნესშია ჩართული. იგი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორ ირმა შიოშვილის ძმაა, ორივეს ერთად კი, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პაატა ბატიაშვილი ლობირებს, რომელიც ამჟამად გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსია.

პაატა ბატიაშვილი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსად 2016 წლის აგვისტოდან მუშაობს. მანამდე ის სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა. 2012-2015 წლებში ბატიაშვილი შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს დირექტორის მოადგილე იყო, ხოლო 2015 წლიდან 2016 წლის აგვისტომდე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსის თანამდებობას იკავებდა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრისთვის ცნობილია, რომ და-ძმა ირმა და ირაკლი შიოშვილები პაატა ბატიაშვილთან მეგობრობენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, პაატა ბატიაშვილსა და ირაკლი შიოშვილს საერთო ბიზნესიც აქვთ.

ვებგვერდზე http://shiocellar.ge მითითებულია, რომ ირაკლი შიოშვილი შპს „შიოს მარანის“ აღმასრულებელი დირექტორია. კომპანიის საქმიანობის სფერო ღვინისა და კონიაკის წარმოებაა. კახეთის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში ირაკლი შიოშვილმა განაცხადა, რომ კომპანიას ამ დროისთვის საქმიანობა შეჩერებული აქვს. მისი თქმით, ამჟამად „შიო თრეველს“ ხელმძღვანელობს, რომლის საქმიანობის სფეროც ტურიზმია.

გუბერნატორის ადმინისტრაციაში წარდგენილი CV-ის მიხედვით, ირაკლი შიოშვილი საქართველო – რუსეთის მოქალაქეა. პროფესიით იურისტი და ინჟინერ- ტექნოლოგია.

1992 წელს მუშაობდა აშშ-ში კორპორაცია „L&K“ გაყიდვების მენეჯერად; სხვადასხვა დროს მუშაობდა თავდაცვის, შინაგან საქმეთა სამინისტროების სხვადასხვა სამსახურში; იყო შპს „მადლის“ გენერალური დირექტორი; რუსეთში ჰოლდინგი „სიფ-ტრეიდის“ რეგიონალური დირექტორი; 1999-2000 წლებში მუშაობდა სააქციო საზოგადოება „დავით სარაჯიშვილი და ენისელის“ ჯერ წარმოების, ხოლო შემდეგ აღმასრულებელ დირექტორად; 2000-2005 წლებში იყო რუსეთში შპს „რუსსკაია უსადბას“ რეგიონალური დირექტორი; 2007-2009 წლებში ტელევიზია „გლობალ თი ვის“ გენერალური დირექტორი; 2009-2010 წლებში შპს „ქართული ლიმონათის“ გენერალური დირექტორი; 2010-2013 წლებში ხელმძღვანელობდა სამთავრობათაშორისო საქართველო-ბელარუსიის სავაჭრო-ეკონომიკური სააგენტოს პროექტს; 2014-2016 წლებში იყო „ბილაინის“ კახეთის რეგიონული ფილიალის დირექტორი.

კითხვაზე, რა ურთიერთობა აქვს პაატა ბატიაშვილთან, **ირაკლი შიოშვილი** განმარტავს:

– პაატა ბატიაშვილთან, როგორც სხვა თელაველებთან მაქვს ურთიერთობა, ზოგი კლასელია, ზოგი მეგობარია და ა.შ. პაატა ჩემი მეგობარია, საერთო სამეგობრო წრე გვყავს.

– მისი დახმარებით არ ხდება თქვენი თანამდებობაზე დანიშვნა?

– არანაირად. პაატა ბატიაშვილმა, მე მგონი, არც იცის.

❖ ❖ ❖

კახეთის გუბერნატორ **ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით,** ირაკლი შიოშვილს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს ბიზნესპროექტების წარმატებით განხორციელებაში.

– მე ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ კახეთში უნდა მოხდეს საინვესტიციო კლიმატის მაქსიმალური ხელშეწყობა. ეს მთავრობის ერთ-ერთი ამოცანაა და ჩვენც, გუბერნიამ ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიკური აქტივობის გაჯანსაღებასა და გააქტიურებას. ირაკლი სარგებლობს ნორმალური ავტორიტეტით.

– ირაკლი შიოშვილი უკვე დაინიშნა თქვენს მოადგილედ?

– ბრძანება გამოიცემა ახლა, მიმდინარეობს პროცედურები.

– ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ ირაკლი შიოშვილი თანამდებობაზე პაატა ბატიაშვილის ლობირების შედეგად ინიშნება.

– ნამდვილად არ შეესაბამება რეალობას. მე პირადად არც კი ვიცნობ პაატა ბატიაშვილს, აქამდე არ მქონია ამ ადამიანთან ურთიერთობა და კონტაქტი. ირაკლი შიოშვილთან მე ჩემი ძიების შედეგად მივედი. პაატა ბატიაშვილს მონაწილეობა არც პირდაპირ და არც ირიბად ამ საკითხთან დაკავშირებით არ მიუღია. რაც შეეხება სხვა საკადრო ცვლილებებს, ჯერ ამ ცვლილებას განვახორციელებ და მერე ნაბიჯ-ნაბიჯ, როგორც საქმე გვიჩვენებს.

და-ძმა შიოშვილებს პაატა ბატიაშვილი რომ ლობირებს, ეს ინფორმაცია კახეთის საინფორმაციო ცენტრს საჯარო სამსახურში დასაქმებულმა არაერთმა თანამდებობის პირმა დაუდასტურა, მათ შორის კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაშიც.

ერთ-ერთ ფაქტად კი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ განვითარებული მოვლენები შეგვახსენეს.

2013 წლის ნოემბერში თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ვაკანტურ თანამდებობაზე არჩევნებში 6 კანდიდატი მონაწილეობდა, მათ შორის იყო ირმა შიოშვილიც. კენჭისყრამდე რამდენიმე წუთით ადრე რექტორობის კანდიდატებმა დავით მახაშვილმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა, გელა ყიფიანმა და დარეჯან მაისურაძემ საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს. გელა ყიფიანმა დარბაზშივე განაცხადა, რომ მას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან მიაკითხეს და კანდიდატურის მოხსნა მოსთხოვეს. რექტორის არჩევნებში 3 ხმით ავთანდილ ღელაღუტაშვილმა გაიმარჯვა, 2 ხმა კი ირმა შიოშვილმა მიიღო.

არჩევნების შემდეგ რექტორობის ყოფილი კანდიდატი გელა ყიფიანი განათლების მინისტრთან შეხვედრასაც ითხოვდა. მინისტრი მას არ შეხვდა და შეხვედრა მამუკა ბერიაშვილთან შედგა, რომელიც სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. მამუკა ბერიაშვილთან შეხვედრისას გელა ყიფიანმა განაცხადა, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა სუსის დირექტორის მოადგილის პაატა ბატიაშვილის მხრიდან იმ მიზნით, რომ რექტორის არჩევნებში კანდიდატურა მოეხსნა. გელა ყიფიანი ამ დროისთვის აღნიშნულ ფაქტებზე საუბრისგან თავს იკავებს.

ავთანდილ ღელაღუტაშვილი, რომელმაც 2013 წელს რექტორის არჩევნებში გაიმარჯვა, ამბობს, რომ ირმა შიოშვილი და მისი ლობისტები დარწმუნებული იყვნენ, რომ ყიფიანის, მახაშვილისა და სხვების მიერ კანდიდატურების მოხსნის შემდეგ არჩევნებში ირმა შიოშვილი გაიმარჯვებდა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

ობამა: აშშ-ისა და ნატოს თანამშრომლობას არაფერი ემუქრება

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პირველი პრეს-კონფერენცია გამართა.

მან განაცხადა, რომ გარკვეული წრეების შიში აშშ-ნატოს შორის თანამშრომლობის შეწყვეტის თაობაზე აბსოლუტურად უსაფუძვლოა.

ობამამ ხაზი გაუსვა იმას, რომ დონალდ ტრამპი ნატოს გაძლიერებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

– ტრამპს ესმის, რომ ნატოს გაძლიერება ამერიკის ინტერესებშია, – განაცხადა ობამამ.

შედგა პუტინ-ტრამპის სატელეფონო საუბარი



რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ტელეფონით აშშ-ის ახლად არჩეულ ლიდერ დონალდ ტრამპს დაუკავშირდა.

პუტინმა ტრამპს არჩევნებში გამარჯვება მიულოცა და რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების ნორმალიზაციის სურვილი გამოთქვა.

დონალდ ტრამპმა თავის რუს კოლეგას მოლოცვისთვის მადლობა გადაუხადა. მან განაცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ის ინტერესები ბევრ საკითხებში ერთმანეთს ემთხვევა.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომავალ წელს პუტინ-ტრამპის შეხვედრა შედგება.

როგორც რუსები, ისე ამერიკელები სათანადო სამზადისს უკვე დღეიდან შეუდგებიან.

სროლა ფსკოვში

ფსკოვის მახლობლად მოზარდებმა პოლიციის მანქანას სანადირო თოფიდან ცეცხლი გაუხსნეს, შემდეგ თავადაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულეს. მალე ინტერნეტით ამ მოვლენის ამსახველი კადრები გავრცელდა.

ჯერჯერობით უცნობია, თუ რატომ მოხდა ეს სისხლიანი ტრაგედია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

რუდოლფ ჯულიანი: „ტრამპი რუსებს ძალის პოზიციებიდან დაელაპარაკება“



დონალდ ტრამპის მრჩეველმა, ნიუ იორკის ყოფილმა მერმა რუდოლფ ჯულიანიმ განაცხადა, რომ აშშ-რუსეთის ინტერესები რიგ საკითხებში, შესაძლოა, დაემთხვეს და თანამშრომლობაც შესაძლებელია. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ რუსებთან ეფექტური დიალოგის წარმოება მხოლოდ ძალის პოზიციებიდან შეიძლება:

– ტრამპიც რუსებს ძალის პოზიციებიდან დაელაპარაკება, როგორც ეს პრეზიდენტ რეიგანის დროს ხდებოდა! – განაცხადა ჯულიანიმ.

ტრამპის მრჩეველმა უარყო ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს აშშ-ის ახალი პრეზიდენტი ნატოსთან თანამშრომლობის შეწყვეტას აპირებდეს, აგრეთვე ისიც, რომ რუსეთის საზღვრებიდან ნატოს ჯარების გაყვანაა ნავარაუდევი.

– არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა, რომ რუსეთის საზღვრებიდან ნატოს ჯარი გავიყვანოთ, – ამბობს ჯულიანი.

მისი თქმით, ტრამპის ადმინისტრაცია იმუშავებს როგორც რუსეთთან, ასევე ჩინეთთან ურთიერთობების გადატვირთვაზე. მან აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაციამ რუსეთი მოწინააღმდეგედ აქცია, ხოლო რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტ ბარაქ ობამას პატივს არ სცემდა.

– რუსეთი ფიქრობს, რომ ის სამხედრო კონკურენტია, ეს კი ასე ნამდვილად არ არის, – აღნიშნა რუდი ჯულიანიმ.

ფოქს ნიუსის ცნობით, რუდი ჯულიანი ტრამპის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის პოსტზე ფავორიტად ითვლება.

გამოცემის ინფორმაციით, ტრამპის გუნდში განაცხადეს, რომ ამ თანამდებობისთვის რეალური კონკურენცია არ ყოფილა, თუმცა კიდევ ერთმა წყარომ ტრამპის გუნდში აღნიშნა, რომ ამ თანამდებობაზე ასევე აშშ-ის ყოფილი ელჩი გაერო-ში ჯონ ბოლტონი განიხილება.

მანამდე ჯულიანიმ განაცხადა, რომ ტრამპის ადმინისტრაციაში გენერალური პროკურორის თანამდებობას არ დაიკავებს. ამერიკული მედია მას ამ პოსტზე განიხილავდა.

რაც შეეხება სახელმწიფო მდივნის თანამდებობას, ჯულიანის აზრით, ჯონ ბოლტონი ძალიან კარგი არჩევანი იქნება. კითხვაზე, არის თუ არა ვინმე უკეთესი, მან ღიმილით უპასუხა:

– შეიძლება, მე არ ვიცი.

დაპატიმრებულია რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი

14 ნოემბერს დააპატიმრეს რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსეი ულიუკაევი.

მას 2 მილიონი დოლარი ქრთამის აღება ედება ბრალად.

ულიუკაევის ოპერატიული დამუშავება დიდხანს მიმდინარეობდა. პრეზიდენტი პუტინი მომხდარის კურსში იყო.

რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტმა ულიუკაევის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

როგორც საგამოძიებო კომიტეტში აღნიშნეს, სისხლის სამართლის საქმე აღძრულია „როსნეფტის“ მიერ ნავთობის კომპანია „ბაშნეფტის“ აქციების სახელმწიფო პაკეტის შეძენასთან დაკავშირებით.

ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, რომელსაც ალექსეი ულუკაევი ხელმძღვანელობს, უნდა გაეკეთებინა დასკვნა ხელშეკრულების თაობაზე.

– საუბარია „როსნეფტის“ წარმომადგენლებისგან ქრთამის გამოძალვასა და მუქარაზე, – აცხადებს საგამოძიებო კომიტეტის წარმომადგენელი სვეტლანა პეტრენკო.

მისი თქმით, მინისტრი 2 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის ქრთამის აღებისას დააკავეს.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივან დიმიტრი პესკოვის განცხადებით, ულუკაევის წინააღმდეგ წარდგენილია ძალიან სერიოზული ბრალდება, რომელიც ძალიან სერიოზულ მტკიცებულებებს ითხოვს.

შტაინმაიერი – გერმანიის პრეზიდენტი?

გერმანიის ამჟამინდელი საგარეო საქმეთა მინისტრი შტაინმაიერი შესაძლოა ქვეყნის პრეზიდენტი გახდეს.

მის კანდიდატურას მხარი კანცლერმა მერკელმა დაუჭირა.

მმართველ კოალიციაში ამის თაობაზე კარგა ხანია განსხვავებული მოსაზრებები არსებობდა, თუმცა მერკელმა მიაღწია იმას, რომ კოალიციამ მხარი შტაინმაიერის კანდიდატურას დაუჭირა.

საპრეზიდენტო არჩევნები 2017 წლის თებერვალში გაიმართება.

იაპონიაში სერიული ფუტ-ფეტიშისტი დააპატიმრეს

იაპონიის ქალაქ კიოტოს პოლიციამ 56 წლის აკირუ ნიშიამუ დააპატიმრა, რომელსაც ქალებზე მრავალჯერ თავდასხმაში ედება ბრალი, რომლის მიზანსაც მათთვის ფეხების ალოკვა წარმოადგენდა.

სავარაუდოდ, ფუტ-ფეტიშისტი სუსტი სქესის წარმომადგენლებს სხვადასხვა საბაბით საკუთარ ავტომობილში იტყუებდა, რის შემდეგაც ხელს ფეხებში ავლებდა, ფეხსაცმელებს ხდიდა და ქუსლებს ულოკავდა.

როგორც მისმა ბოლო მსხვერპლმა განაცხადა, ნიშიამუმ მოატყუა, უთხრა, რომ მისი მანქანის მუხრუჭები მოიშალა და დახმარება სჭირდებოდა. ის ქალს მანქანაში ნახევარი საათის განმავლობაში ძალის გამოყენებით აკავებდა. ბოლოს კი მას მადლობა გადაუხადა და გაუშვა.

დაზარალებულმა მოახერხა თავისი სმარტფონის კამერით ნაწილობრივ გადაეღო თუ რა ხდებოდა მანქანის სალონში. ასევე მან ნიშიამუს მანქანის ნომერი დაიმახსოვრა.

აღსანიშნავია, რომ ნიშიამუ ყველაფერს უარყოფს. მან განაცხადა, რომ მას იმის მსგავსი არაფერი ჩაუდენია, რაშიც ბრალს დებენ.

იაპონელი სამართალდამცავები სერიულ ფუტ-ფეტიშისტს 2012 წლიდან ეძებდნენ იმ ქალების განცხადებების საფუძველზე, რომლებიც თავდასხმის ობიექტები გახდნენ.

აზიელმა მამაკაცმა კობრაზე იქორწინა

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ერთ-ერთი ქვეყნის მცხოვრებმა მამაკაცმა სამმეტრიან კობრაზე იქორწინა.

მამაკაცი ამტკიცებს, რომ გველი, რომელიც მან იპოვა, ძალიან ჰგავს მის გარდაცვლილ მეგობარ გოგონას, რომელიც დაახლოებით ხუთი წლის წინ დაიღუპა. ამის შემდეგ გადაწყვიტა მან კობრაზე ექორწინა.

ასე რომ, ახალგაზრდა მამაკაცი ახლა მთელ დროს გველთან ერთად ატარებს. ის მასთან ერთად უყურებს ტელევიზორს, აწყობს პიკნიკებს და დაკავებულია ფიტნესით, ასევე ქვეწარმავალთან ერთად სძინავს. უცნობია, თუ რა რეაქცია ჰქონდა ადამიანთან დაქორწინებაზე თავად სამმეტრიან კობრას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

მომსახურება

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

მკურნალობა

● ნანა ქიბრიწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი,პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

თომას მიულერი: „ნაკლოვანებების მიუხედავად, ერთ-ერთ ლიდერად ვიქეცი“

ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველ თომას მიულერს ბოლო დროს ძალიან აკრიტიკებენ. ბავარიელთა შემტევი ვეღარ გამოიყურება ისე მრისხანედ, როგორც ეს მანამდე იყო. თუმცა, თავად ფეხბურთელი სხვაგვარად ფიქრობს.

– გუნდის განწყობა და მენტალიტეტი ბოლო დროს ცხელი თემა იყო ბავარიაში. როგორ გადაიტანეთ ეს განხილვები?

– 3 მატჩის მიყოლებით მოგება ვერ შევძელით, რა თქმა უნდა, ასეთი სიტუაცია ბავარიაში ხშირად არ ხდება და არც უნდა ხდებოდეს. ყველანი ვეძებდით ამის მიზეზს. ამის გარდა გუნდის შიგნით ბევრს ვლაპარაკობთ ამაზე, მაგრამ თქვენ უნდა გესმოდეთ, რომ ასეთი წვრილმანების გარჩევას სახალხოდ არ დავიწყებთ, რაც შეეხება გუნდის განწყობას, თითოეული შევთანხმდით ამაზე, რომ განწყობა არ გვივარგოდა. ამგვარად, კრიზისზე თქვენ შეგიძლიათ მოისმინოთ ერთი და იგივე მოსაზრება, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ გუნდი მუშაობს და ჩვენს პრობლემებს ერთად ვწყვეტთ.

– კარლო ანჩელოტის წიგნში ისეთი ტოპვარსკვლავები, როგორიცაა კრიშტიანუ რონალდუ და ზლატან იბრაჰიმოვიჩი, რთულ სიტუაციებში მისი პრაგმატული დამოკიდებულებით აღფრთოვანებულნი არიან. შეგიძლიათ ამის დადასტურება?

– მას შეუძლია უკომპრომისო იყოს, რაც აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას იმის განცდა უჩნდება, რომ უკანასკნელ წვეთამდე გამბედაობა აკლია. მაგრამ მთლიანად ასე არ ხდება, რომ ის მაშინვე ყვირილს იწყებდეს, როდესაც მატჩის მიმდინარეობა და ანგარიში არ მოსწონს. ის გარკვეულ საკითხებში მობილიზებულია და ცდილობს სილის გაწვნის მაგივრად, თავდაჯერება შეგმატოს. ამის დადასტურება შემიძლია. ეს ნამდვილად სწორი გზაა.

– ვიცით, რომ ანჩელოტი თქვენთან მხოლოდ ფეხბურთზე არ ლაპარაკობს და სხვა საკითხებზეც მსჯელობთ. გეხმარებათ თქვენ ეს?

– პრინციპში, ეს მინდორზე უნდა გადავწყვიტოთ. შენ შეგიძლია თავისუფლად ილაპარაკო რაც გსურს, რაც შესაძლოა ადამიანებთან ურთიერთობისათვის კარგია, რამაც შედეგად მუშაობა უნდა გააუმჯობესოს. გადამწყვეტ ფაქტორს ის წარმოადგენს, რაც მინდორზე ხდება.

– იქ ყველაფერი წამყვან ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. ვინ არის გასახდელში ორატორი?

– როგორც წესი, ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ წამყვან ფეხბურთელებთან და კაპიტნებთან. მაგალითად, მათ რიცხვში ფილიპ ლამი და მანუელ ნოიერი უნდა მოვიაზროთ. ამის გარდა, მეც ბევრი რამ გამოვიარე. ჩვენ რეგულარულად ვცვლით ხოლმე აზრებს ერთმანეთში და დამატებით იდეებს ვიღებთ შედეგად. ზოგჯერ საკუთარ საქმეში ნაკლს ვერ ხედავ, ამიტომ მნიშვნელოვანია სხვისი შეხედულებაც.

– გასახდელში ოლივერ კანი ალფა მამაკაცად გვევლინებოდა. მის გამო ერთხელ ახალგაზრდა ბასტიან შვაინშტაიგერი პირსახოცის გარეშე დარჩა. ახლა რა ხდება გუნდში?

– უპირველეს ყოვლისა, თითოეულს თავისი საკუთარი პირსახოცი უნდა გააჩნდეს, რეზერვიც საკმარისი გვაქვს. არ ვიცი, ადრე როგორ ხდებოდა. როდესაც მე ჩემს პროფესიონალურ კარიერას ვიწყებდი, უკვე ბევრი რამ იყო შეცვლილი. გამოცდილ ფეხბურთელებს ახალგაზრდა ფეხბურთელები ყოველთვის თან დავყავდით. თუ მოედანზე გახვიდოდი, ადვილად იქნებოდი მიღებული. ახალგაზრდებს დახმარება სჭირდება და არა ზემოდან ვიღაცის ზეწოლა. მაშინ დროც სხვა იყო. მიმაჩნია, რომ ეს ის საკითხებია, რომლებიც საზოგადოებაშიც ცვლილებას განიცდის.

– თქვენ ვინ დაგეხმარათ ახალგაზრდობაში?

– მაშინ კაპიტანი მარკ ვან ბომელი იყო, რომელიც ახალგაზრდა ფეხბურთელებზე ზრუნავდა, როგორებიც, მე და ჰოლგერ ბადშტუბერი ვიყავით, ან არიენ რობენი. მაგალითად, მარკთან ერთად ჩვენ ერთ მაგიდაზე ვსადილობდით. ასევე, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებთანაც დიდ დროს ვატარებდი – ბასტისთან

და ფილიპ ლამთან ერთად.

– თქვენი დებიუტი იურგენ კლინსმანის დროს შედგა, ხოლო, ლუი ვან გაალის ხელმძღვანელობით თქვენ გუნდის ძირითადი ფეხბურთელი გახდით. ვინ იყო თქვენთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი დამრიგებელი?

– როდესაც სიტყვა მნიშვნელოვან დამრიგებელს ეხება, არ შემიძლია არ გავიხსენო ლუი ვან გაალი. რა თქმა უნდა, მე უკვე ვთამაშობდი ბუნდესლიგაში და ჩემპიონთა ლიგაზეც კლინსმანის ხელმძღვანელობით, მაგრამ ლუი ვან გაალი პირველი მწვრთნელი იყო, რომელსაც მუდმივად ჩემი იმედი გააჩნდა. ფეხბურთელებისათვის მათი კარიერის განმავლობაში ყოველთვის რთულია მწვრთნელებზე საუბარი. მე უკვე რამდენჯერმე მაქვს ნათქვამი, რომ ვან გაალი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დამრიგებელი იყო. იმ დროს იმ ასაკში ვიმყოფებოდი, როდესაც თანადგომას ვსაჭიროებდი.

– რა შეიცვალა მას შემდეგ თქვენს თამაშში?

– კარგი კითხვაა. რა თქმა უნდა, ახლა უნდა ვიცოდე, 7 წლის წინ ეს როგორ იყო და ამასთან საკმაოდ რთულია გავიხსენო, თუ რა იყო 3 წლის წინ. ნებისმიერ შემთხვევაში ყოველთვის ვცდილობ იმ საკითხებზე ვიმუშაო, რომლებიც გუნდური ვარჯიშების ფარგლებს გარეთ ხდება. ეს რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. არის პერიოდები, როდესაც პრობლემები გაქვს, პატარა იარები, შემდეგ კი საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ფორმაში იყო.

– თქვენ არასტანდარტულ ფეხბურთელად გთვლიან, რომელიც სივრცეებს ეძებს.

– ტერმინი სივრცის მკვლევარი, ოდესღაც ერთ-ერთ ინტერვიუში გამოვიყენე და მას შემდეგ განუყოფელი გახდა ჩემგან. ნებისმიერ შემთხვევაში ჩემს თავს არ ვთვლი განსაკუთრებულად და ამოუცნობად. ფეხბურთში არის საშიში ზონები და თუ თამაშით ხარ დაკავებული, მაშინ იცი, თუ რა მოუტანს მოწინააღმდეგის დაცვაში პრობლემებს. ხშირად ეს საჭირო დროს თავისუფალ ზონებში შეჭრებია. ეს ყოველთვის ჩემი ძლიერი მხარე გახლდათ. ჩემი პოზიციური თამაში ბურთის გარეშე დროის თავისუფალ ინტერვალებში და სიღრმეში შესვლებია.

– იზიარებთ ფართოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებას, რომ თქვენ ჩვეულებრივი ფეხბურთელი არ ხართ?

– ჩემს თავს არაჩვეულებრივ ფეხბურთელად ვერ დავახასიათებდი. ერთადერთი, რაც არაჩვეულებრივია, ეს ჩემი თვისებების ერთობლიობაა, თუ თქვენ ინდივიდუალურ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს შეხედავთ. თუმცა, კარგი ტექნიკის მიღმა დრიბლინგი ჩემი ძლიერი მხარე არაა. უჩვეულო ისაა, რომ ჩემი ნაკლოვანებების მიუხედავად, ერთ-ერთ ლიდერად ვიქეცი. ეს ის საკითხია, რომელიც გასაგებად არავის არ მოსწონს. ვფიქრობ, რომ ამგვარი ტიპის ფეხბურთელი კი არ არის გასაოცარი, არამედ ის, რომ ასეთი ფეხბურთელი ამ დონეზე თამაშობს და არა „ბუნდესლიგის ნორმალურ გუნდში“ და, რომ ის მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ხდება და ამგვარი ისტორიები.

– სინამდვილეში, რა აძლიერებს თომას მიულერს?

– უკვე შევეცადე ამეხსნა. საქმე პოზიციურ თამაშს ეხება, მოქმედების სისწრაფეს, ამტანობას, სულის სიძლიერეს იმისათვის, რომ საკუთარი შესაძლებლობების გჯეროდეს და იმის გათავისება თუ რა არის საჭირო გუნდის წარმატებისთვის.

მაურინიომ შვაინშტაიგერი ძირითად გუნდში დააბრუნა

ბასტიან შვაინშტაიგერმა მანჩესტერ იუნაიტედში გადასვლის გადაწყვეტილება 2015 წლის ზაფხულში მიიღო, სადაც ბაიერნის ყოფილი ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუი ვან გაალი ეგულებოდა. მიმდინარე სეზონში „წითლები“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მაურინიომ ჩაიბარა და გერმანელი ნახევარმცველი იუნაიტედის ახალგაზრდულ გუნდში გაამწესა.

როგორც ცნობილი გახდა, ცოტა ხნის წინ, ბასტიანი „წითლების“ ძირითად გუნდს დაუბრუნდა და მათთან ერთად ვარჯიში განაახლა, რაზეც მანჩესტერ იუნაიტედის პორტუგალიელმა მწვრთნელმა კომენტარი გააკეთა:

– ბასტიან შვაინშტაიგერის პირველ გუნდთან ვარჯიშებზე დაბრუნება წინა ხუთშაბათს გადავწყვიტეთ. შვაინშტაიგერს ეს წაადგება. თუ ჩვენ ტრავმირებული ფეხბურთელები გვეყოლება, ნახევარდაცვაში ის შესაძლოა გამოგვადგეს. თუ კლუბიდან წასვლას გადაწყვეტს, უკეთ მომზადებული იქნება, ხოლო თუ დარჩება, ის კიდევ ერთი ვარიანტი იქნება ჩვენთვის.

შვაინშტაიგერის გარშემო შექმნილ სიტუაციაზე კომენტარი გააკეთა ბაიერნის ყოფილმა და, შესაძლოა, მომავალმა პრეზიდენტმა ული ჰოინესმა.

– ეს სიტუაცია ჩემთვის წარმოუდგენელია. ის, რომ შვაინშტაიგერს ძირითადი გუნდის ვარჯიშებზე არ უშვებენ და მას, როგორც კეთროვანს, ისე ექცევიან, ბევრს მეტყველებს კლუბში ამჟამინდელ მდგომარეობაზე. ბასტიანი შესანიშნავი ადამიანია და შესანიშნავი ფეხბურთელი იყო ბავარიისთვის. დასანანია, რომ მას ასე ექცევიან.

მილანი ახალ სიმაღლეზე გასვლას აპირებს

მოგეხსენებათ, მილანს სულ მალე ახალი მფლობელები ეყოლება, რომელთაც გუნდის ძალზე გაძლიერება აქვთ გეგმაში. ერთია, თუ როსონერის მაღალი დონის ფეხბურთელების დამატება სურს, იტალიური გრანდი ევროტურნირებზე უნდა მოხვდეს. საამისო წინაპირობა კი არსებობს...

იტალიური და ბრიტანული მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, „როსონერის“ თითქმის უკვე ახალი მფლობელები მზად არიან ლესტერის ალჟირელი ლიდერი, რიად მაჰრეზი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს გაიფორმონ.

ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის წინ გავრცელდა და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ჭორი იყოს.

ერთ-ერთი ვარიანტი მილანია, რომელსაც აშკარად მოსწონს მაჰრეზის თამაში და მასში თანხის გადახდაც არ დაეანება. 24 წლის ფეხბურთელის სატრანსფერო ღირებულება არანაკლებ 30 მილიონი ევროა.

მილანელთა კიდევ ერთი სამიზნე ჯეკ უილშირია – ბორნმუთის ნახევარმცველი და ამავე დროს არსენალის საკუთრება, რომელსაც კარიერის პიკზე ასვლა სურს, ამისათვის კი გრანდში თამაშია საჭირო. ამავე დროს, „როსონერი“ კარგ ნახევარმცველს ეძებს, ხოლო უილშირი სწორედაც რომ კარგი ნახევარმცველია.

ინგლისელი ფეხბურთელი მილანში თამაშს დათანხმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლუბი მიმდინარე სეზონს წარმატებულად ჩაამთავრებს და ევროტურნირის საგზურს მოიპოვებს. ერთიც უნდა აღვნიშნოთ: არ აქვს მნიშვნელობა ჩემპიონთა ლიგა იქნება თუ ევროპალიგა, მთავარია, გუნდმა ევრო სარბიელზე იასპარეზოს, სწორედ ეს სურს ჯეკს.

თუმცა, თუ ყველაფერი ისე წავიდა, როგორც ამ დროისთვის არის სერია ა-ს ჩემპიონატში, „როსონერის“ არა ევროპალიგის, არამედ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების საკმაოდ დიდი შანსები აქვს, გამომდინარე იქედან, რომ გუნდი ზამთარშიც აპირებს მაღალი დონის მოთამაშეების დამატებას.

საქართველომ ოთხთა ტურნირი უგოლოდ და უქულოდ დაასრულა

დასრულდა 19-წლამდე საერთაშორისო ოთხთა ტურნირი, რომელშიც საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. ესპანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია და საქართველო. ბოლო ტურს ბევრი რამის გარკვევა შეეძლო და ასეც მოხდა...

საქართველო-ჰოლანდია 0:1

თბილისი. მიხეილ მესხი 2

0:1 დუინი (85)

საქართველო: გუგეშაშვილი, მაღლი, კობოური, სამურკასოვი (ვარძელაშვილი 82), საღრიშვილი, არაბიძე (ფოჩხუა 65), ხუბაშვილი, ხარაბაძე, ჩაკვეტაძე (არველაძე 70), ქავთარაძე (ჩოგაძე 65), ქოჩორაშვილი

ჰოლანდია: ბაილოუ, ზეიფეკი, დე ლიხთი, დე უითი, დილროუსუნი (ჩონგი 72), სიეჰეში, ბაილოველდი (კოუპმეინაში 46), კლუივერტი (ვან როოიენი 71), ჰოუხმა, ვაინდალი, ვალენასი (დუინი 84)

ბოლო სათამაშო დღეს საქართველოს 19-წლამდე ნაკრებმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე ჰოლანდიას უმასპინძლა და მინიმალური ანგარიშით 0:1 დამარცხდა.

მატჩის ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე ჰოლანდიელთა შემტევმა, იეტლე დუინმა გაიტანა, რომელიც მოედანზე სულ 1 წუთის შესული იყო.

ჰოლანდიამ ამ მოგებით 4 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზე გავიდა, საქართველოს ნაკრები კი, ნული ქულით ბოლო ადგილს დასჯერდა.

საფრანგეთი-ესპანეთი 0:2

0:1 ფრან ნავარო (6), 0:2 მანუელ გარსია (90)

მთავარ მატჩში მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ერთმანეთს საფრანგეთისა და ესპანეთის 19-წლამდე ნაკრებები დაუპირისპირდნენ. ესპანელებს ტურნირის მოსაგებად ფრეც ჰყოფნიდათ, ფრანგებს კი მხოლოდ მოგება.

მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ესპანელთა გამარჯვებით 0:2 დასრულდა. ანგარიში მე-6 წუთზე გაიხსნა, ლუკა ზიდანის კარი ფრან ნავარომ აიღო. გაშვებული გოლის შემდეგ ფრანგები გააქტიურდნენ და მეტოქის კართან რამდენიმე რეალური მომენტიც შექმნეს. მათ პენალტის დარტყმის უფლებაც მოიპოვეს, მაგრამ იან კარამომ გატანა ვერ მოახერხა. საბოლოო ანგარიში 90-ე წუთზე დაფიქსირდა, გოლი შეცვლაზე შემოსულმა, მანუელ გარსიამ გაიტანა.

ესპანეთის 19-წლამდე ნაკრებმა აღნიშნულ ტურნირზე სამივე შეხვედრა მოიგო, 9 ქულა დააგროვა და მეორეადგილოსან საფრანგეთს 5 ქულით გაასწრო.

ტურნირის დასრულების შემდეგ, საუკეთესო ფეხბურთელს – ესპანეთის 19-წლამდე ნაკრების ფეხბურთელს კარლეს ალენიას დავით ყიფიანის სახელობის პრიზი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა და დავით ყიფიანის ვაჟმა – გიორგი ყიფიანმა გადასცეს, ტურნირის ბომბარდირი კი, საფრანგეთის 19-წლამდე ნაკრების ნახევარმცველი ნიკოლას ჟანვიერი სფფ-ის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა კახა ჭუმბურიძემ და რამაზ შენგელიას ვაჟმა, გიორგი შენგელიამ დაჯილდოვეს.

მესი ესპანეთიდან კანონმდებლობას გაურბის

ლიონელ მესის გადაწყვეტილება ხელშეკრულების გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, „ბარსელონას“ ქომაგებისა და ხელმძღვანელებისთვის მთავარ სიახლედ იქცა.

ესპანელი ჟურნალისტების აზრით, ქვეყნის კანონმდებლობასთან პრობლემა, ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ არგენტინელი ფორვარდი ახალ კონტრაქტს ხელს არ აწერს.

შეგახსენებთ, რომ ახლო წარსულში დასრულდა სასამართლო პროცესი, სადაც ლიონელ მესისა და მის მამას 21-თვიანი პატიმრობა მიესაჯათ გადასახადებისგან თავის არიდების გამო.

მათ სასჯელის თავიდან აცილება შეძლეს. ხანგრძლივი პატიმრობა დიდი ფულადი ჯარიმით იქნა ჩანაცვლებული.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ანჩელოტიმ დიბალა და ნეიმარი გამოყო

მიუნხენის ბაიერნის მთავარმა მწვრთნელმა, კარლო ანჩელოტიმ მედიასთან საუბრისას საინტერესო კომენტარი გააკეთა. მან დაასახელა იმ ფეხბურთელების სახელები, რომლებიც სულ მალე კრიშტიანო რონალდოსა და ლიონელ მესის ჩაანაცვლებენ დიდების მწვერვალზე.

კარლო ანჩელოტი:

– დღევანდელ ფეხბურთში მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდაა, რომელთაც დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლიათ. თუმცა მათგან გამოვყოფდი ორ ფეხბურთელს. პირველი ეს არის პაულო დიბალა. ამ არგენტინელს თავისუფლად შეუძლია მომდევნო 10 წლის მანძილზე ისტორია დაწეროს იუვენტუსში. ის უნიკალური ფეხბურთელია და მას ვერავის შევადარებ. მეორე კი გახლავთ ნეიმარი. იგი უდიდესი ნიჭის პატრონია და მე მჯერა, რომ უახლოეს დროში სწორედ ეს ორი ფეხბურთელი შეძლებს კრიშტიანო რონალდოსა და ლიონელ მესის ადგილების დაკავებას.

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

რა არის სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების წინაპირობა?

ეკა ირემაშვილი

ქალების უმრავლესობას ყველაზე მეტად აინტერესებს, რა არის სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების წინაპირობა.

ქალთა პოპულაციაში, ონკოლოგიურ დაავადებებს შორის, სარძევე ჯირკვლის სიმსივნეს პირველი ადგილი უჭირავს.

ამ დაავადებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ადრეული ან გვიანი მენსტრუალური ციკლი, ადრეული ან გვიანი მშობიარობა. მნიშვნელოვანია გენეტიკური ფაქტორიც.

რა არის სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების წინაპირობა, რა ადგილი უჭირავს ტრავმას სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაში, როგორია სარძევე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკა? – ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ონკოქირურგი **ზურაბ კაპანაძე** გვესაუბრა.

– რამდენიმე ათეული წლის წინ ონკოლოგიურ პათოლოგიებს განაჩენად მიიჩნევდნენ. ხასიათდებოდა გარკვეული სტიგმით. დღეს ასე არაა! საბედნიეროდ, თანამედროვე მედიცინაში უკვე არსებობს საშუალებები, რომ მოხდეს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოსტირება ადრეულ სტადიაზე, რაც შემდგომში განსაზღვრავს მკურნალობის ეფექტურობას, შესაძლებელია მიღწეული იქნეს ხანგრძლივი რემისია, ხოლო ზოგ შემთხვევაში – 100%-იანი განკურნებაც კი.

– რა არის სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარების წინაპირობა?

– სარძევე ჯირკვლის სიმსივნე უმეტესწილად დაკავშირებულია ჰორმონულ დისბალანსთან, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით, ქალები ადრეული მენარქეთი, როცა მენსტრუალური ციკლი ეწყებათ 12 წელზე ნაკლებ ასაკში ან გვიანი, როცა ციკლი ვლინდება 14 ან 16 წლის ასაკის ზემოთ. ამასთან, ამ დაავადების წინაპირობად შეგვიძლია განვიხილოთ ადრეული მშობიარობა 18-20 წლის ასაკამდე და გვიანი მშობიარობა 30 წლის ასაკის ზემოთ, ასევე ხშირი აბორტები, კონტრაცეპტივის ხანგრძლივად და არასწორად გამოყენება.

ცხოვრების წესიც მნიშვნელოვანია. საყურადღებო ფაქტორებია სხვადასხვა ინფექცია და კვებასთან დაკავშირებული საკითხები. სარძევე ჯირკვლის სიმსივნური პათოლოგიის განვითარების წინაპირობად ასევე შეგვიძლია განვიხილოთ წონაში მომატება, არტერიული ჰიპერტენზია და შაქრიანი დიაბეტი.

რისკფაქტორს წარმოადგენს ძუძუთი კვებაზე უარის თქმა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან ზოგიერთი ქალი ამ ბუნებრივ მოვალეობაზე ესთეტიკური შეხედულებების გამო ამბობს უარს, ეს კი ზრდის სიმსივნის განვითარების რისკს.

– რა ადგილი უჭირავს ტრავმას სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებაში?

– შესაძლებელია, ტრავმამ მოახდინოს სიმსივნის პროვოცირება.

– რა ჩივილებით ხასიათდება?

– როგორც წესი, მოცულობითი ფორმის წარმონაქმნს ქალი პირველად თავად აღმოაჩენს ხოლმე. ამ წარმონაქმნს აქვს უსწორმასწორო ზედაპირი. შესაძლებელია, კანზე გამოვლინდეს პათოლოგიური ცვლილება და სიმსივნის მოძრაობის დროს კანი გადაადგილდეს, დვრილს ჰქონდეს სპეციფიკური შესახედაობა, განიცადოს დეფორმაცია, ვგულისხმობ გვერდზე გადახრას ან ჩაბრუნებას. შეიძლება, ლიმონის ქერქის შესახედაობა ჰქონდეს, ხასიათდებოდეს სარძევე ჯირკვლიდან პათოლოგიური გამონადენით.

– რას გვეტყვით გენეტიკურ ფაქტორზე?

– გენეტიკურ ფაქტორს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქალის ოჯახის წევრები, და ან დედა სიმსივნით არიან დაავადებული და მათი ასაკი ამ დროისთვის 40 წელზე ნაკლებია.

არსებობს ასეთი გენები BRCA1 და BRCA2, რომელთა მუტაცია აღენიშნება იმ ქალთა უმრავლესობას, რომელთაც უვითარდებათ სარძევე ჯირკვლების სიმსივნეები და, შესაბამისად, იმ ქალებში, რომელთაც აქვთ სიმსივნის ოჯახური ანამნეზი, რეკომენდებულია ზემოთ ხსენებული გენის მუტაციის განსაზღვრა, რითიც შესაძლებელია დადგინდეს ძუძუს კიბოს განვითარების რისკი.

– ქირურგიის ეროვნულ ცენტრში მკურნალობის რა მეთოდი არსებობს?

– ჩვენს კლინიკაში გამოკვლევის მეთოდების სრულფასოვანი სპექტრია წარმოდგენილი: ულტრაბგერითი კვლევა, მამოგრაფია, კტ კვლევა, მრტ კვლევა. ასევე ძალიან მაღალ დონეზე ფუნქციონირებს ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, რაც გულისხმობს სიმსივნის ბიოქიმიური მარკერების განსაზღვრასა და სიმსივნის მორფოლოგიურ დიაგნოსტიკას.

სარძევე ჯირკვლის სიმსივნეების მკურნალობაში წამყვანია ქირურგიული, მედიკამენტური და სხივური თერაპია. ქირურგიის ეროვნულ ცენტრში შესაძლებელია ძუძუს ავთვისებიანი სიმსივნეების მკურნალობა სამივე რგოლის გამოყენებით: ეს არის როგორც ქირურგიული, ასევე ქიმიოთერაპია-იმუნოთერაპია და რადიაციული სხივური თერაპია.

ექიმთან დროული ვიზიტი 99%-ში აღნიშნული დაავადებისგან სრულფასოვანი გამოჯანმრთელების საწინდარია.

– როგორია სარძევე ჯირკვლის კიბოს პროფილაქტიკა?

– რაც შეეხება პრევენციას, პირველია თვითგასინჯვა. ნებისმიერი წარმონაქმნის, უჩვეულოს გამოვლენის შემთხვევაში რეკომენდებულია, განხორციელდეს ექიმთან ვიზიტი. მოგეხსენებათ, იყოფა ასაკობრივი ჯგუფები 40-დან 60 წლამდე, როცა ქალებმა წელიწადში ერთხელ მაინც რუტინულად უნდა ჩაიტარონ სარძევე ჯირკვლების რადიოლოგიური გამოკვლევა-მამოგრაფია, ხოლო საჭიროებისამებრ – ულტრაბგერითი კვლევა და სპეციალისტის კონსულტაცია.

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
კონსულტაცია უფასო!
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

პაატა ბატიაშვილის კლანი კახეთში — გუბერნატორის მოადგილედ ირაკლი შიოშვილი ინიშნება

დასაწყისი მე-7 გვერდზე

– არჩევნებამდე ჩემთან სახლში რამდენჯერმე მოვიდა ირმა შიოშვილი და მითხრა, რომ რექტორად მისი არჩევის საკითხი შეთანხმებული იყო განათლების მინისტრთან, მთხოვა, რომ კანდიდატურა მომეხსნა. მე უარი ვუთხარი. მერე კიდევ შემხვდა და მითხრა, რომ უკვე პრემიერთან იყო საკითხი შეთანხმებული. მე მაინც არ მოვხსენი კანდიდატურა. ბოლოს დარწმუნებულები იყვნენ, რომ არჩევნებში გაიმარჯვებდნენ, მაგრამ ერთი ხმა აღმოჩნდა გადამწყვეტი, – ამბობს ავთანდილ ღელაღუტაშვილი.

ღელაღუტაშვილი რექტორად 4 წლის ვადით აირჩიეს, თუმცა ერთი წლის შემდეგ, 2014 წლის დეკემბერში, აკადემიურმა საბჭომ, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, უნივერსიტეტის რექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტა, მიზეზად კი ის დაასახელეს, რომ ავთანდილ ღელაღუტაშვილს 2009 წელს სადოქტორო დიპლომი კანონის დარღვევით ჰქონდა მიღებული. კანონის თანახმად კი პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი არ აქვს, უმაღლესი სასწავლებლის რექტორი ვერ იქნება.

ღელაღუტაშვილის გათავისუფლების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ირმა შიოშვილი გახდა.

ავთანდილ ღელაღუტაშვილმა მისთვის რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა სასამართლოში გაასაჩივრა.

2015 წლის მარტში უნივერსიტეტის რექტორად ირმა შიოშვილი აირჩიეს.

2015 წლის ოქტომბერში თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც ავთანდილ ღელაღუტაშვილს აკადემიურმა საბჭომ რექტორის უფლებამოსილება შეუწყვიტა. განათლების ეროვნულ ცენტრს საკითხის სრულყოფილი გამოკვლევა და ახალი აქტის გამოცემა დაევალა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება განათლების სამინისტრომ და უნივერსიტეტმა საapელაციო სასამართლოში გაასაჩივრეს. გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლომაც ძალაში დატოვა, რის შემდეგაც სამინისტრომ და უნივერსიტეტმა უზენაეს სასამართლოს მიმართეს. უზენაესი სასამართლოს სპიკერმა ნათია ჯუღელმა გვითხრა, რომ ორივე სარჩელს ხარვეზი დაუდგინდა და კასატორებს ხარვეზის გამოსასწორებლად ვადა აქვთ მიცემული. უზენაესი სასამართლო ამის შემდეგ გადაწყვეტს საკასაციო სარჩელები განიხილოს თუ დაუშვებლად ცნოს.

უნდა აღინიშნოს, რომ თელავში პროფესიული კოლეჯი „პრესტიჟის“ დირექტორია ირმა შიოშვილის ქმარი კონსტანტინე დოლიძე.

❖ ❖ ❖

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, პაატა ბატიაშვილის კლანის წევრია პაატა გიორგობიანიც, რომელიც თელავის თემის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა. პაატა გიორგობიანი აქტიურად ეხმარებოდა ბატიაშვილს, რომლის კანდიდატურაც განიხილებოდა თელავში 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატად „ქართული ოცნებიდან“. ამ მიზეზით ირაკლი სესიაშვილმა, რომელზეც „ქართულმა ოცნებამ“ საბოლოოდ შეაჩერა არჩევანი თელავში კენჭისყრის მიზნით, პაატა გიორგობიანი აქტიურად აღარ ჩართო წინასაარჩევნო პროცესებში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა ამ საკითხებზე თავისი პოზიციის დაფიქსირება პაატა ბატიაშვილსაც შესთავაზა გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საშუალებით. თუ ბატიაშვილი განმარტებას გააკეთებს, ჩვენ მას აუცილებლად გამოვაქვეყნებთ.

გელა მთივლიშვილი,
კახეთის საინფორმაციო ცენტრი

ასტროპროგნოზი
16 ნოემბრისათვის

ვერძი – საკუთარ ჯანმრთელობას ყურადღებით მოეკიდეთ. ზომიერად დაკავდით სპორტით. **კურო** – საქმიანი კონტაქტებისათვის შესაფერისი დრო არ არის. ახალი ნაცნობობა ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **ტყუპები** – მიზნის მიღწევისთვის საბრძოლველად არაკეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ სარისკო ფინანსურ ოპერაციებს. **კირჩხიბი** – დღეს ყველაზე არასასიამოვნო, რაც კი შეიძლება შეგემთხვეთ, ახლობელთან კამათი იქნება. მთლიანობაში, პოზიტიური პერიოდია. **ლომი** – ნებისმიერ დაბრკოლებას გადალახავთ, რაშიც თქვენი ენერგიულობა და პრინციპულობა დაგეხმარებათ. **ქალწული** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა ახალი საქმის დასაწყებად, შემოქმედებითი არეალის გასაფართოებლად. **სასწორი** – დაგროვილი ყოფითი პრობლემები დაუყოვნებლივ მოაგვარეთ, საღამოს კი გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე, გაერთეთ მეგობრებთან ერთად. **ღრიანკალი** – თუ გონიერი ადამიანის რჩევას არ გაითვალისწინებთ, დაზარალდებით. შინაგან დაძაბულობას თავს მარტივად ვერ დააღწევთ. **მშვილდოსანი** – აქტიურად დაისვენეთ. მცირეოდენი ფიზიკური დატვირთვა სასარგებლო იქნება. **თხის რქა** – ენთუზიაზმით ხართ სავსე. გსურთ, ყველა საქმე ერთბაშად გააკეთოთ. ბედი გწყალობთ. **მერწყული** – საქმიანი შეხვედრები წარმატებას მოგიტანთ. ცივი გონებით იმოქმედეთ. **თევზები** – პირად ცხოვრებაში პრობლემები შეგექმნებათ. მეტი დრო დაუთმეთ ბავშვებთან ურთიერთობას.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სპორტული რადიო საქართველოში; 2. თავისუფალი ფორმის პატარა ლიტერატურული ნაწარმოები; 3. შამპანურის შემქმნელად მიჩნეული ბენედიქტელი ბერი; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. სათამაშოების მწარმოებელი დანიური ფირმა; 9. პატიმრობა განსაკუთრებით მკაცრ პირობებში; 10. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 12. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 13. კატისებრთა ოჯახის გარეული ცხოველი; 15. ძმები ჯაჭვლიანების მხატვრული ფილმი.

თარაზულად: 1. ქართველი კინორეჟისორი ქალი; 6. კამერული მუსიკის ერთ-ერთი ჟანრი; 7. ქალის ძვირფასთვლებიანი სამკაული; 10. პერიოდულად შრობადი მდინარეების სახელწოდება ავსტრალიაში; 11. ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 13. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 14. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 16. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 17. მდინარე ისრაელსა და პალესტინაში; 18. ქალაქური სიმღერების შემსრულებელი ქართველი საესტრადო მომღერალი ქალი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. კურტაჟი; 2. ლაკმუსი; 3. კინეტიკა; 4. დოფინი; 5. ჰერმესი; 8. ღირსება; 9. დეპუტატი; 12. მჭედლიძე; 13. მიუსერა; 16. ვიბრაცია; 17. წაღვერი; 19. „სპარტა“; 20. დიდუბე.

თარაზულად: 6. ფუქსავატი; 7. ბოკვერი; 8. ღვენთი; 10. სამსუნი; 11. ცეცე; 14. ფრანკები; 15. დეპრესია; 18. მიქლიო; 21. პარმაღი; 22. დიჯეი; 23. არეუნა; 24. ლაფონტენი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. კაფი; 2. ემუ; 3. „რეზონანსი“; 4. ტოსკა; 5. ცანგალა; 8. რალი; 9. ხინკალი; 10. კაბოშონი; 12. მახვში; 13. კაენი; 15. გრემი.

თარაზულად: 1. „კაბერნე“; 6. კეჭნაობა; 7. ფურკა; 10. კროლი; 11. ალალი; 13. კაკაო; 14. გაგრა; 16. ვერე; 17. იმერეთი; 18. აფრიკა.

ჯოვანი ვეფხვაძის ნამუშევრები ისტორიის მუზეუმშია

ცნობილი ქართველი მხატვრის ჯოვანი ვეფხვაძის ნამუშევრები საქართველოს ეროვნული მუზეუმის იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმშია.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ხელოვანის მიერ სხვადასხვა დროს შექმნილი ფერწერული ნამუშევრები, პორტრეტი, პეიზაჟი, ისტორიული სიუჟეტები, თბილისისა და იტალიის ქალაქების სერია.

ჯოვანი ვეფხვაძე თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიისა და საკავშირო სამხატვრო აკადემიის შემოქმედებითი სახელოსნოს 70-იანელთა თაობის წარმომადგენელი იყო. მისი წარმოსახვითი სამყარო და მუშაობის ტექნიკა გამოირჩევა თვითმყოფადობითა და არტისტული ხასიათით, რომელიც მხატვრის პიროვნების საყრდენს წარმოადგენდა. ჯოვანი ვეფხვაძე მონაწილეობდა გამოფენებში, იყო მრავალი ორგანიზაციის წევრი და ქართულ-იტალიური ცენტრის „ჯოვანი ლორენცოს“ პრეზიდენტი. მხატვრის ნამუშევრები იტალიის, საფრანგეთისა და საქართველოს კერძო კოლექციებში ინახება.

გამოფენა ჯოვანი ვეფხვაძის ხსოვნას ეძღვნება და თბილისის ისტორიის მუზეუმში 22 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ახმეტელის თეატრი იუბილარია

სანდრო ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრი იუბილარია.

მისი დაარსებიდან 35 წელი შესრულდა. იუბილეს თეატრის ხელმძღვანელობა განახლებული რეპერტუარით, მრავალფეროვანი სპექტაკლებითა და სხვადასხვა რეჟისორის ნამუშევრებით ხვდება.

– 1981 წლის შემდეგ 35 წელი გავიდა... 35 წლის წინ თბილისში ახალი თეატრი დაარსდა. დღეს ახმეტელის თეატრი 35 წლის გახდა!

დღეს ახმეტელის თეატრი ერთ-ერთი წარმატებული თეატრია თბილისის სათეატრო რუკაზე.

ეს წელი ჩვენი თეატრისთვის საიუბილეოა! 14 იანვარს ქართული თეატრის დღე სწორედ ახმეტელის თეატრში აღინიშნება.

დრამატული თეატრისთვის რეფორმატორი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭების ინიციატორი ლერი პაქსაშვილი გახლდათ, რომელმაც ახმეტელის თეატრი დააარსა.

„მართალია, სანდრო ახმეტელი თავის დროზე რეპრესიების მსხვერპლი გახდა, მაგრამ მას კარგა ხანია, რეაბილიტაცია გაუკეთდა. ყველასთვის ნათელია, რომ სანდრო ახმეტელი ჩვენი ქვეყნის არც მოღალატე იყო და არც მტერი“, – აცხადებდა ლერი პაქსაშვილი.

1987 წლიდან თბილისის დრამატული თეატრი სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრია.

თეატრში ზუსტად 35 წლის წინ მაყურებელმა სპექტაკლი „ოპტიმისტური ტრაგედია“ იხილა.

ლიზა ბაგრატიონი ტელეწამყვანი გახდა

მომღერალი ლიზა ბაგრატიონი ტელეწამყვანი გახდა. საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში ახალი მუსიკალური პროექტი დაიწყო, რომელსაც ლიზა ბაგრატიონი უძღვება.

„შაბათს საღამოს ლიზასთან“ – ასე ეწოდება გადაცემას, რომელსაც სტუმრობენ ცნობილ მომღერლები და წამყვანთან ერთად ყურადღებას ამახვილებენ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ფართო საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი და საფუძვლიანად მიმოიხილავენ.

ინტერვიუს პარალელურად, გადაცემის გმირი ბენდთან ერთად ასრულებს ხუთ სიმღერას, უმეტესად ამ სიმღერების ახალ ვერსიებს, ახლებური ყღერადობით. ზოგჯერ გადაცემის წამყვანი სტუმართან ერთად დუეტში მღერის.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ახალგაზრდა თაობების აღმზრდელი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, შრომის ვეტერანი, საქართველოსა და აფხაზეთის დამსახურებული მასწავლებელი

მარგო გვაძაბია-მამფორია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

საქართველოს საპატრიარქო: „ნატოზე არასწორი წარმოდგენა გვქონდა“

– ჩვენ არასწორი წარმოდგენა გვქონდა ნატოსა და ევროსტრუქტურების პოლიტიკასთან მიმართებით. საპატრიარქოს დელეგაციის ვიზიტისას აღმოჩნდა, რომ ნატოშიც და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებით რიგ თემებთან დაკავშირებით.

ამის შესახებ საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებით საპატრიარქოს წარმომადგენელთა აზრს, მათ განაცხადეს, რომ ეს მოსახლეობის გადასაწყვეტია; ეკლესია პატივს სცემს ხალხის არჩევანს და მიიჩნევს, რომ უმთავრესია:

ა) საქართველო იყოს დამოუკიდებელი.

ბ) აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

გ) ქვეყნის განვითარება მოხდეს ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.

საპატრიარქოს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები ა.წ. 12 ნოემბერს ბრიუსელიდან სამშობლოში დაბრუნდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, ვიზიტი იყო გაცნობითი ხასიათის და მან მაღალ დონეზე ჩაიარა.

ამასთან, აღმოჩნდა, რომ ნატოშიც და ევროსტრუქტურებშიც არასწორი ინფორმაცია ჰქონდათ საქართველოს ეკლესიის შესახებ და ჩვენც არასწორი წარმოდგენა გვქონდა მათ პოლიტიკასთან მიმართებით რიგ თემებთან დაკავშირებით.

მაგალითად, საქართველოში სასწავლო დაწესებულებებიდან ამოღებულია რელიგიის სწავლება და, ვითომცდა დასავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, იკრძალება რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე საუბარი.

ევროკავშირის ქვეყნებში კი ეს საგანი სხვა და სხვა ფორმით არის შეტანილი იმის მიხედვით, თუ სად რა მოთხოვნილებაა. მაგ. ბელგიაში, სადაც სახელმწიფო აღიარებს რამდენიმე მიმდინარეობას: კათოლიციზმს, მართლმადიდებლობას, ლუთერანობას, იუდაიზმსა და ისლამს, სახელმწიფო ხელს უწყობს და ფინანსურად უზრუნველყოფს ნებისმიერი ამ აღმსარებლობის მქონე მოსწავლის თუ სტუდენტის სურვილს, მიიღოს რელიგიური განათლება. ჩვენთან კი პრობლემებს ქმნიდნენ.

საქართველოში, როგორც ცნობილია, გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან ოჯახის, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობის განმსაზღვრელი პუნქტის ჩაწერას კონსტიტუციაში, იმ მოტივით, თითქოს ეს ევროინტეგრაციის პროცესს შეუშლის ხელს.

უმაღლესი დონის არაერთ შეხვედრაზე ცალსახად ითქვა, რომ არცერთ ოფიციალურ დოკუმენტში და თვით ზეპირ თუ წერილობით რეკომენდაციაშიც კი არასოდეს ყოფილა მინიშნებული ერთნაირსქესიანთა ქორწინების ხელშეწყობა, რომ ევროკავშირის წევრ არაერთ ქვეყანაში განისაზღვრა ოჯახი, როგორც ქალისა და მამაკაცის ერთობა და ეს არის ევროკავშირის სტრუქტურებისთვისაც სრულიად მისაღები მდგომარეობა.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს გაწევრიანების საკითხთან მიმართებით საპატრიარქოს წარმომადგენელთა აზრს, მათ განაცხადეს, რომ ეს მოსახლეობის გადასაწყვეტია; ეკლესია პატივს სცემს ხალხის არჩევანს და მიიჩნევს, რომ უმთავრესია:

ა) საქართველო იყოს დამოუკიდებელი.

ბ) აღსდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

გ) ქვეყნის განვითარება მოხდეს ტრადიციული ფასეულობებისა და ღირებულებების გათვალისწინებით.

ამასთან, საქართველოს ეკლესიისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფოსთან იყოს ჩამოყალიბებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა, – აცხადებენ საპატრიარქოში.

ინტერპრესნიუსი

ნარკოტიკებთან დაკავშირებით დაკავებული ბერი ფილიპე ფხაკაძე და მღვდელმონაზონი ნიკოლოზ მაქარაშვილი საერო სამართლით უნდა განისაჯონ

საპატრიარქოს განცხადებით, ნარკოტიკებთან დაკავშირებით რამდენიმე დღის წინ დაკავებული ბერი ფილიპე ფხაკაძე და მღვდელმონაზონი ნიკოლოზ მაქარაშვილი, რომელმაც ფიზიკური დაზიანება მიაყენა ერთ-ერთ მეზობელს, საერო სამართლით უნდა განისაჯონ.

როგორც საპატრიარქოს განცხადებაშია ნათქვამი, ამ საზოგადოებრივი მოღვაწეებს საეკლესიო სასჯელი უკვე დადებული აქვთ. საპატრიარქოს განცხადებით, მოძღვრობა არ არის იმუნიტეტი, რომლითაც შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვინმემ აიცილოს.

– როგორც შევიტყვეთ, რამდენიმე დღის წინ ნარკოტიკებთან დაკავშირებით დააკავეს ორი პიროვნება: ბერი ფილიპე ფხაკაძე და გიორგი მეგრელიშვილი. მღვდელმოქმედება აკრძალულმა მღვდელმონაზონმა, ნიკოლოზ (მირიან) მაქარაშვილმა კი ფიზიკური დაზიანება მიაყენა ერთ-ერთ მეზობელს და პრობლემები შეუქმნა სხვა მცხოვრებთაც.

მომხდართან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქოს კითხვით მომართეს მოქალაქეებმა და გვთხოვენ, დავაფიქსიროთ პოზიცია ამ და მსგავს ფაქტებთან დაკავშირებით, რადგან ზოგიერთი მიიჩნევს, თითქოს სასულიერო პირობა ადამიანს კანონის წინაშე პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს.

შევნიშნავთ, რომ სამივე მათგანს საეკლესიო სასჯელი უკვე დადებული აქვს, რაც შეეხება მათ ამუამინდელ ქმედებებს, ეს სისხლის სამართლის საქმეებია და საერო სამართლით უნდა განისაჯოს.

ჩვენ არაერთხელ გვაქვს გაცხადებული და კვლავაც გავიმეორებთ, რომ მოძღვრობა ამა თუ იმ პიროვნებას გაცილებით მეტ სულიერ-ზნეობრივ ვალდებულებას აკისრებს; ეს მდგომარეობა არ არის იმუნიტეტი, რომლითაც შეიძლება სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვინმემ აიცილოს. ნებისმიერი მოქალაქე, მათ შორის სასულიერო პირი, ვალდებულია, დაიცვას საყოველთაოდ აღიარებული კანონი და მისი დარღვევის შემთხვევაში აგოს პასუხი, – ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ეკა ბესელია: „ქართულ ოცნებას“ 35.000 ლარი შევწირე, რაც დეკლარირებულია“

ეკა ბესელიას განცხადებით, „ქართული ოცნებისთვის“ შეწირული თანხა დეკლარაციასთან სრულ შესაბამისობაშია.

ასე გამოეხმაურა დეპუტატი გავრცელებულ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მან „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ წინასაარჩევნოდ 35.000-ლარიანი შემოწირულობა განახორციელა.

– მე ვფიქრობ, ყველა სხვა შემთხვევებშიც იქნება დაცული ყველა პროცედურა. თქვენ იცით, რომ დეკლარაციები არის საჯარო, მათ შორის ჩემი დეკლარაციაც. ვინც ნახავს ჩემს დეკლარაციას, ყველა მიხვდება, რომ აბსოლუტურ შესაბამისობაშია შესაწირი, რომელიც მე განვახორციელე. ეს საჯარო ინფორმაციაა. ბუნებრივია, რომ არ ყოფილიყო შესაბამისობაში და რომ არ მქონოდა შესაბამისი თანხა დეკლარაციაში მითითებული, ვერც ეს შეწირულობა განხორციელდებოდა. ასეთ საკითხებს ძალიან ეთიკურად და კანონის დაცვით ვუყურებთ. ამ მხრივ კითხვა არ არსებობს. 35 ათასი ლარი შევწირე, რაც დეკლარირებულია, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მედიანიუსი

პროგრამა

ოთხშაბათი 16 ნოემბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეუი**" **07.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "მხიარული ფერმა" **08.40** "ტელემანი" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ტრიუმფი**" **12.20** მხ/ფ "**ბიჭები**" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ. "**ამერიკელები**" **00.00** მხ/ფ "**უგზოუკვლოდ დაკარგული**" (ჯ.ლემონი) **03.00** "პირადი ექიმი"

08.00, 14.00 დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** დ/ფ "სტივენ ჰოკინგის სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**სიყვარულის ბანები**" **12.00** ტ/სერ. "**ბებიებზე მიწა**" **13.00** ტ/სერ. "**ჩინგო ვეტრინე**" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.40** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" **11.20** სერ. "**სიყვარულის ჯაჭვი**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35** სერ."**პაბარაკალი**" **18.50, 19.03** სერ. "**ღირსების სახელით**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** სერ. "**პერიკრატია** (9+1)" **00.30** მხ/ფ "**მოობა**" **02.55** მხ/ფ "**მოკალი და დამარხე**" **04.25** მხ/ფ "**უგუნოდ შეყვარებული**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45** სერ. "**გაბრიელა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერსერ. "**წითელი და შავი**" **15.55** სერ. "**ინდური საბა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** სერ. "**ოქროს გალია**" **19.55, 20.05** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** სერ. "**ხელოვნური სუნთქვა**" **23.00** ნანუკას შოუ **01.00, 03.30** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/ფ "**ფანგიი და ჩამჩაი**" **9.00, 19.00** სერ. "**დოქტორი პაუსი**" **10.00, 18.00** სერ. "**სკანდალი**" **11.00**სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **20.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.00** სერ. "**ბიფლისი**" **2.25** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**"

06.15 დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმი **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "თიხით მოუბარი" **11.05** ერთხელ ბავშვობაში **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "ნაძერწი ფიგურები" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** დ/ფ "მსოფლიო საგანძური-ესპანეთი" **15.45** დ/ფ "მსოფლიო საგანძური-ესპანეთი" **16.00** კონცერტი **16.25** დ/ფ "საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**ადამიანთა ხევდა**" **20.40** ძილი ნებისა "გედის ჭუჭული" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "ხიხანის ხეობა" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 0.30 "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **10.00, 13.30, 1.30** სერ. "**ცენტრალური საავადყოფო**" **11.00** პოლიტ თოქ-შოუ "ცეცხლის ხაზი" (15.11.16) **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 23.30** "ბიზნეს კონტაქტი" **14.30, 1.00** სერ. "**ორი გული**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **16.00, 2.30** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**ბემი**" **22.40** სერ. "**ესპობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

16 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.489

ევრო — 2.6797

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1185

100 რუსული რუბლი — 3.7551

ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისთვის

10 ნოემბრიდან



ჯერალდ დარელი
იდუმალი ხმების ქვეყანა.
მთვრალ ტყეში

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

15 ნოემბრიდან

ჯონ ტენერი
ოცდაათი წელი ინდიელთა შორის

ჯონ ტენერის წიგნი „ოცდაათი წელი ინდიელთა შორის“ მოგვითხრობს იმ ადამიანის ცხოვრებასა და თავგადასავალზე, რომელიც მე-18 საუკუნის დამლევს 9 წლის ასაკში მოიტაცეს და შემდეგ იშვილეს ჩრდილო ამერიკის ინდიელებმა.

ჯონმა მათთან თითქმის 30 წელი გაატარა. ამ ხნის განმავლობაში მას დაავიწყდა მშობლიური ენა და სავსებით შეითვისა ინდიელთა ტრადიციები და ზნე–ჩვეულებანი, მაგრამ თეთრკანიან ნათესავებთან დაბრუნების სურვილი არ ტოვებდა.

როგორ დაუბრუნდა იგი თეთრკანიან საზოგადოებას და როგორ შეეთვისა ახალ საზოგადოებას, ამას წიგნის წაკითხვის შემდეგ გაიგებთ.

ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი

იუმორი

რუსს ეუბნებიან:

– იცი, შაქარი და მარილი ორივე თეთრი სიკვდილია.

– სამაგიეროდ, ტყე და არაყი მწვანე მეგობრები არიან.

•••

კონსერვატორიის ერთი სტუდენტი მეორეს შესჩივის:

– რა ვქნა არ ვიცი, გამოსაშვებ გამოცდაზე რაიმე მუსიკალური ნაწარმოების შეთხზვა დამავალეს, მე კი ვერაფერი მომიფიქრებია.

– შენც ადექი და შენი მასწავლებლის რომელიმე ნაწარმოები აიღე და უკუღმა გადაწერე და ჩააბარე, თითქოს შენია.

– ვცადე უკვე.

– მერე?

– შტრაუსის ვალსი გამოვიდა...

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– საერთოდ კაცები ქალებს მხოლოდ უნდა ეუბნებოდნენ მიყვარხარ, გიყიდი, წავიდეთ!

– რა პრობლემაა, სულ ადვილია. ლუდი მიყვარს, ანკესს გიყიდი, სათევზაოდ წავიდეთ!

•••

ცოლი ქმარს ეკითხება:

– საყვარელო, მართალია, რომ ჩემი თავი ღმერთმა გამოგიგზავნა?

– მართალია, ძვირფასო, მხოლოდ იმას ვერ ვიხსენებ, რომელი ცოდვისთვის...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– უიღბლო ადამიანი ვარ.

– რატომ?

– ორჯერ მოვიყვანე ცოლი. პირველი გამშორდა, მეორე კი არ მშორდება...

•••

დედა შვილს გაუჯავრდა და დასაჯა. მამა ბავშვს ეკითხება:

– რა, შვილო, მკაცრი დედა გყავს?

– ეჰ, მამა, შენ არჩევანის უფლება მაინც გქონდა, მე კი ასეთი მერგო.

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.

კარდაშიანების ოჯახის ერთადერთი მამაკაცი მამა გახდა



ტელევარსკვლავი რობ კარდაშიანი და მისი საცოლე, მოცეკვავე ბლეკ ჩაინა მშობლები გახდნენ. მათ გოგონა შეეძინათ.

წყვილმა ახლად დაბადებულ გოგონას დრიმი (ოცნება) დაარქვა. ბავშვი ლოს-ანჯელესის სამედიცინო ცენტრში დაიბადა.

ჩაინას საკეისრო კვეთა გაუკეთდა. აღსანიშნავია, რომ ერთი ღამის სამედიცინო ცენტრის პალატაში გატარება ოთხი ათასი დოლარი ღირს.

კარდაშიანი მამა პირველად გახდა, ხოლო ჩაინას უკვე ჰყავს სამი წლის შვილი კინგ კაირო, რომელიც რეპერ ტაიგასთან ქორწინებიდან ჰყავს.

28 წლის ჩაინა კარდაშიანების ოჯახის ერთადერთ მამაკაცს 2015 წლიდან ხვდება. 2016 წლის აპრილში წყვილმა ნიშნობის თაობაზე გააკეთა განცხადება და მოცეკვავის ფეხმძიმობაც დაადასტურა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბარსელონა დარიო სრნათი დაინტერესდა

ბარსელონა დონეცკის შახტარის ხორვატი მცველით დარიო სრნათი დაინტერესდა. ბარსელონა დარიოს შეძენას ადრეც აპირებდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მაშინ ეს ტრანსფერი არ შედგა. სრნა უკვე 34 წლის არის, მაგრამ, მიუხედავად სოლიდური ასაკისა, ის შახტარის ერთ-ერთი ლიდერია, ხორვატიის ნაკრებში კი კვლავინდებურად ძირითად შემადგენლობაში თამაშობს.

ბარსელონას ზამთარში, სავარაუდოდ, ალეშ ვიდალი დატოვებს და, შესაძლოა, სრნამ სწორედ მისი ადგილი დაიკავოს. აქვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ მესი არ ჩქარობს ბარსელონასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას და ერთ წელიწადში მან, შესაძლოა, კატალონიური გუნდი დატოვოს.

ბარსელონაში ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ.

ფრენკ ლემპარდი კარიერის დასრულებას აპირებს

ლონდონის ჩელსის ლეგენდა ფრენკ ლემპარდი სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. ლემპარდი უკვე 38 წლის არის და ნიუ იორკში თამაშობს, მაგრამ ამ გუნდს დატოვებს, ხოლო თუ ლემპარდის ასაკს გავითვალისწინებთ, ეს კარიერის დასასრულს ნიშნავს.

ლემპარდმა თავისი კარიერის დიდი ნაწილი ლონდონის ჩელსიში გაატარა, სადაც ინგლისის ჩემპიონატი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

ლონდონური გუნდი ლემპარდმა 2014 წელს დატოვა.

ინტერი ლუკას ბილიას ყიდვას აპირებს

მილანის ინტერი ზამთარში სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას. წლევანდელი სეზონი მილანელებისთვის ცუდად მიმდინარეობს და იტალიის ჩემპიონატში ისინი სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან.

ინტერის ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ლაციოს არგენტინელი ნახევარმცველი ლუკას ბილიაა, რომელშიც ინტერი 26 მილიონ ევროს იხდის.

ბილია ლაციოს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, ამიტომ რომაული კლუბი მას ადვილად არ დათმობს.

ლუკას ბილია ლაციოში 2013 წელს ბელგიური ანდერლეხტიდან გადავიდა. ბილიას არგენტინის ნაკრებშიც ხშირად იძახებენ.

მემფის დეპაი, შესაძლოა, ევერტონში გადავიდეს

ჰოლანდიელ ფეხბურთელ მემფის დეპაის მანჩესტერში კარიერა არ აეწყო. დეპაი ჰოლანდიაში ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება, მაგრამ მანჩესტერში მას ჟოზე მოურინიო კარგი თვალით არ უყურებს, ამიტომ დეპაიმ, შესაძლოა, კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს.

ერთ-ერთ ვარიანტად ევერტონი განიხილება, რომლის მწვრთნელი რონალდ კუმანი დეპაის თანამემამულეა.

კუმანის თქმით, დეპაის, უბრალოდ, მეტი თამაში სჭირდება და ის თავის ტალანტს აუცილებლად გამოავლენს. კუმანმა დაამატა, რომ ის დიდი სიამოვნებით იხილავდა მემფისს თავისი გუნდის შემადგენლობაში.

ევერტონის გარდა, დეპაის შეძენით ტურინის იუვენტუსიც არის დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯანო ანანიძემ ვარჯიში განაახლა

მოსკოვის სპარტაკისა და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ ტრავმის შემდეგ ვარჯიში განაახლა. ჯანო სრული დატვირთვით ვარჯიშობს და მალე მოედანზე დაბრუნდება.

ანანიძემ ტრავმა რამდენიმე კვირის წინ მიიღო და ამის გამო მან მოლდოვასთან საქართველოს ნაკრების შეხვედრა გამოტოვა. ანანიძის არყოფნა საქართველოს ნაკრებს ძალიან დაეტყო, რადგან მის გარეშე ნახევარდაცვა სუსტად გამოიყურებოდა. ჯანო წლევანდელ სეზონს კარგად ატარებს და ის სპარტაკის ერთ-ერთ ლიდერად ჩამოყალიბდა.

მისი დაბრუნება სპარტაკის თამაშზე უდავოდ კარგად იმოქმედებს.

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. სახელმწიფო ევროპაში; 3. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 4. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 5. ლონდონის „არსენალის“ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი; 8. პოპვარსკვლავ სტინგის ნამდვილი გვარი; 9. უღელტეხილი კავკასიონზე; 12. მკვეთრ კონტრასტებზე დამყარებული მხატვრული ხერხი ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 13. წონასწორობის პირობების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 16. აეროპორტი სოხუმის მახლობლად; 17. ლოგარითმის წილადური ნაწილი; 19. სტადიონი მეხიკოში; 20. საქართველოს თავდაცვის მინისტრი.

თარაზულად: 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. მსუბუქი ავტომობილის ძარის ტიპი; 10. ქალის ძვირფასთვლებიანი თავსაბურველი; 11. ბერძნული ყველი; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა. 15. ზომიერი მუსიკალური ტემპი; 18. ცირკის არენა; 21. მძლავრი სტიქიური მოვლენა; 22. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 23. ცისკრის, განთიადის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 24. ქართული ლუდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა